

1251
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კავკასიურ-ახლოდღმოსავლური
პ რ ე ბ უ ლ ი

КАВКАЗСКО-БЛИЖНЕВОСТОЧНЫЙ
СБОРНИК

VI

„მეცნიერება“
«МЕЦНИЕРЕБА»
1980



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ
ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ



**КАВКАЗСКО-БЛИЖНЕВОСТОЧНЫЙ
СБОРНИК
VI**

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1980

1961 21 130

კავკასიურ-ასლოდოსავლური
პ რ ე ბ უ ლ ი
VI

22371

სკპ-2000
უამრუშებული

გამომცემლობა „მაცნიერება“

თბილისი

1980

1(395.3) + 9(395.4) + 9(3-11)

1) ძველი აღმოსავლეთის ისტორია

4 (C 4)

81.2 (24+5)

4 (47.922+11)

დ 146

2) კავკასიისა და ძველი აზიის ისტორია
1395 წლის უხაროგანობა

„კავკასიურ-აზიურ-აღმოსავლური კრებულის“ მორიგი ტომი შედგება ძვ. წ. III—I ათასწლეულების მახლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ისტორიის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი გამოკვლევებისაგან. სტატიები ეხება შუმერისა და ბაბილონის, ეგვიპტის, ხეთების სახელმწიფოსა და ამიერკავკასიის (განსაკუთრებით, საქართველოს) უძველეს საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული ისტორიის პრობლემებს. კრებულში განხილულია აგრეთვე ზოგიერთი ძველადმოსავლური ენის სტრუქტურის საკითხები.

Очередной том «Кавказско-ближневосточного сборника» состоит из исследований, посвященных актуальным проблемам истории Ближнего Востока и Закавказья III—I тысячелетий до н. э. Статьи касаются проблем социально-экономической, политической, религиозной и культурной истории древнейших обществ Шумера, Вавилона, Египта, Хеттского государства и Закавказья (в особенности, Грузии). В сборнике рассматриваются и вопросы структуры некоторых древневосточных языков.

K 180 313

რედაქტორი გრ. გიორგაძე

Редактор Г. Г. Гиоргадзе

სსრ სსრ სსრ
სსრ სსრ სსრ
სსრ სსრ სსრ
სსრ სსრ სსრ

10604
M 607 (06)—80 184—80

ირაკლი მაჭავარიანი

სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულების ტიპოლოგიის
შესახებ ურარტულში

მსოფლიოს ენებში ძირითადად ორი სახეა გავრცელებული მოქმედების მონაწილე იმ წევრებს, ანუ აქტანტებს შორის დამოკიდებულებისა, რომლებიც ტრადიციული ტერმინოლოგიით სუბიექტად და ობიექტად არიან წოდებული: ნომინატიური და ერგატიული.

წინადადების ნომინატიური ტიპოლოგიის (წნტ) არსი შეიძლება გამოიხატოს ფორმულით:

1,2ა3 (1),

სადაც 1-ით აღნიშნულია გარდაუვალი ზმნის სუბიექტი, 2-ით — გარდამავალი ზმნის სუბიექტი, 3-ით — პირდაპირი ობიექტი, ხოლო ა ნიშნით — ფორმობლივი დაპირისპირება შესაბამის წევრებს შორის.

წინადადების ერგატიული ტიპოლოგიის (წეტ) არსი შეიძლება გადმოცემულ იქნას ფორმულით:

1,3ა2 (2);

აღნიშვნები იგივეა¹.

სხვადასხვა ენაში ერგატიული კონსტრუქცია (ეკ) განსხვავებული მორფოლოგიური სტრუქტურების მეშვეობით შეიძლება იყოს რეალიზებული. გ. კლიმოვის აზრით, ეკ-ის მთელი ეს მრავ-

¹ ფორმულები შემოტანილია ნაშრომში Ю. В. Зыцарь, К типологической характеристике эргативной структуры языка басков. ВЯ, 1977, 3. გვ. 38.



ვალფეროვნება სამ მორფოლოგიურ ტიპზე დაიყვანება: „ზმნურ-ზე“ (1), „შერეულსა“ (2) და „სახელურზე“ (3), რომლებიც შეიძლება შემდეგი სქემებით გამოგვეცა:

1. N—N—V_{erg·abs}
2. N_{erg}—N_{abs}—V_{erg·abs}
3. N_{erg}—N_{abs}—V,

სადაც N აღნიშნავს ნებისმიერ სახელს, V — გარდამავალ ზმნას, erg და abs ინდექსები სახელთან — ერგატიული და აბსოლუტური (ე. ი. არაერგატიული) ბრუნვის ნიშნებს, ზმნასთან — ერგატიული და აბსოლუტური რიგის პირის ნიშნებს².

„შერეული“, მისი აზრით, ყველაზე გავრცელებული ტიპის ერგატიულ ენებს მიაკუთვნებს გ. კლიმოვი სხვათა შორის ბასკურსაც და ხური-ურარტულ ენებსაც³.

გ. კლიმოვის მიერ მოცემულ ამ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით ი. ზიცარმა დეტალურად გამოიკვლია ბასკური ეკ, როგორც „შერეული“, სახელურ-ზმნური და, მისივე სიტყვებით, მიზნად დაისახა „ეჩვენებინა მისი (ეკ-ის — ი. მ.) კონკრეტული თავისებურებანი ბასკურ ენაში“⁴. ი. ზიცარმა გამოყო ბასკური ერგატივის სამი ნიშანი, რომელიც, მისი აზრით, „შერეული“ ტიპის ერგატივის მქონე ყველა ენისათვის გამოდგება. აქვე მან დაადგინა, თუ როგორ ფორმდება ერგატივ-არაერგატივის დაპირისპირება ბასკურსა და სხვა (ძირითადად „შერეული“ ტიპის) ერგატიული ენების ზმნაში, ამ დაპირისპირების რომელი წევრები აისახება ზმნაში სათანადო მარკერების მეშვეობით.

ჩვენი შრომის მიზანია მსგავსი გამოკვლევის ჩატარება ურარტული ერგატივის მიმართ, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გ. კლიმოვის მიერ „შერეული“ ტიპისადაა მიჩნეული და, რომელსაც, ამდენად, ი. ზიცარის მიხედვით, მის მიერ გამოყოფილი სამი ნიშანი უნდა ახასიათებდეს. ჩვენ ვცადეთ კვლევის მეთოდის თვალსაზრისითაც გაგვეზიარებინა ი. ზიცარის გამოცდილება, მაგრამ ეს ყოველთვის შესაძლებელი არ აღმოჩნდა. საკვლევი საგნის სპეციფიკურობამ, კერძოდ იმ ფაქტმა, რომ ბასკურისა და ყველა სხვა ენი-

² Г. А. Климов, Очерк общей теории эргативности. М., 1973. გვ. 42—43.

³ იქვე, გვ. 43.

⁴ ი. ზ ი ც ა რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 38.



საგან განსხვავებით, რომელთაც ი. ზიცარი თავის სტატიაში შეეხო, ურარტული მკვდარი ენაა, განაპირობა საკითხისადმი განსხვავებული მიდგომის აუცილებლობა. ამ გარემოებას არ შეეძლო აგრეთვე გარკვეული დამატებითი სიძნელეები არ წარმოეშვა კვლევის პროცესში. ასეთი სიძნელე ძირითადად ორია: 1. არაა დადასტურებული ბევრი გრამატიკული ფორმა, რომელთა ცოდნა მნიშვნელოვნად გაამარტივებდა ჩვენს ამოცანას. განსაკუთრებით ეს შეეხება ზმნას, რომლის თხრობითი კილოს ფორმებში ცოტად თუ ბევრად სრულად მხოლოდ წარსული სრული დროის⁵ პარადიგმაა წარმოდგენილი და აქაც სრულებით არა გვაქვს მე-2 (როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური) პირის ფორმები. მე-2 პირის შესახებ საერთოდ უნდა ითქვას, რომ ურარტული წარწერების უდიდესი უმრავლესობის ერთნაირი ხასიათის გამო (ურარტუს მეფეები ჰყვებიან თავიანთი საომარი თუ აღმშენებლობითი მოღვაწეობის ამბებს) აქ ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს: ბრძანებითი კილოს მხ. რიცხვის ფორმების გარდა მე-2 პირი არსად არაა დადასტურებული როგორც ზმნაში, ისე პირისა თუ კუთვნილებით ნაცვალსახელებში. 2. დამოწმებული და, ამდენად, ჩვენთვის ცნობილი ფორმები საჭიროებენ ინტერპრეტაციას როგორც წარმოთქმის, ისე მნიშვნელობის თვალსაზრისით. ხშირად ერთი და იგივე ბგერა⁶ ან გრამატიკული ფორმა სხვადასხვა მკვლევარის მიერ სხვადასხვაგვარადაა ხოლმე ინტერპრეტირებული. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ დაგვეძლია ორივე ეს სიძნელე.

გადავიდეთ ახლა ჩვენს ძირითად საკითხზე—ურარტული ეკ-ის განხილვაზე. პირველ რიგში ვცადოთ ე. წ. წინადადებათა ბლოკის მოდელირება, რისთვისაც უნდა ავბღოთ ორი მარტივი გაუვრცობელი წინადადება, ერთი გარდაუვალზმნიანი, მეორე კი გარდამავალზმნიანი⁷; მა-

⁵ ი. მეშჩანინოვი მას აორისტს უწოდებს. იხ. მისი Грамматический строй урартского языка. Часть вторая, Структура глагола. М.-Л., 1962.

⁶ ბგერის ქვეშ ლათინური ტრანსლიტერაციის ასოს ვგულისხმობთ.

⁷ ასეთი ორწინადადებიანი ბლოკის მოდელირების აუცილებლობა ნათლად ჩანს (1) და (2) ფორმულების შედარებისას: თუ ჩვენ ავიღებთ მხოლოდ ერთ, გარდამავალზმნიან წინადადებას, ანუ გამოვაცილოთ ორივე ამ ფორმულას № 1 წევრს (გარდაუვალი ზმნის სუბიექტს) და დავტოვებთ მხოლოდ № 2 და № 3 წევრებს, რომლებიც გარდამავალზმნიანი კონსტრუქციისათვისაა დამახასიათებელი, ფორმულები შემდეგ სახეს მიიღებს:

2 ა 3	(1'),
3 ა 2	(2'),



გალითად: Menuani uštabi „მენუა გამოვიდა (საომრად)“ და iēše pilini agubi „მე ეს (გარკვეული) არხი გავიყვანე“⁸. მოვანდინოთ ახლა ამ ბლოკის ფორმალიზაცია, რისთვისაც გამოვიყენოთ ზემოხსენებული აღნიშვნები. მივიღებთ სქემას:

მოდელი 1. № 1 Menua-ni ušta-bi		თ № 2 iēše ⁹
მოდელი 2. № 3 pili-ni agu-bi		

როგორც ვხედავთ, სქემა აკმაყოფილებს (2) ფორმულას, ე. ი. ჩვენ აქ მართლაც წებ-თან გვქონია საქმე.

გამოვაცალოთ ამ სქემას ზმნური ფორმები და დავტოვოთ მხოლოდ სახელები. მივიღებთ:

მოდელი 1. № 1 Menua-ni		თ № 2 iēše
მოდელი 2. № 3 pili-ni		

როგორც ვხედავთ, № 1 და № 3 წევრები თავიანთი ბრუნვის ფორმით (სახელობითი) უპირისპირდებიან № 2 წევრს (ერგატივი), ე. ი. დაპირისპირება 1, 3 თ 2 [(2) ფორმულა] ურარტულ ენაში სა-

ე. ი. ერთმანეთის ტოლფასი გახდება. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ ხელში შეგვრჩება ფორმოზოგი დაპირისპირება გარდამავალი ზმნის სუბიექტსა და ობიექტს შორის, რომელსაც ადგილი აქვს როგორც ერგატიული წყობს (ეწ), ისე ნომინატიური წყობის (ნწ) შემთხვევაში, ანუ დავკარგავთ განსხვავებას წნტ-სა და წებ-ს შორის, ე. ი. თვით ეს დაყოფა დაკარგავს აზრს.


⁸ მოცემულ შრომაში ჩვენს მიერ დასახული წმინდა ლინგვისტური ამოცანებიდან გამომდინარე აქ და შემდგომ ურარტული წინადადებებისა და ცალკეული სიტყვა-ფორმების მოყვანისას არსად არ მივუთითებთ წყაროს. თუ რომელიმე გრამატიკული ფორმა ხშირად გვხვდება ტექსტებში და მისი მნიშვნელობა საყოველთაოა ცნობილი, არავითარ მითითებებს არ ვაკეთებთ, ხოლო თუ გამოყენებული გვაქვს იშვიათი ან რეკონსტრუირებული ფორმა, ვუთითებთ ავტორს, რომელთანაც დადასტურებულია ან რომლის მიერაც რეკონსტრუირებულია ეს ფორმა.

⁹ iēše ნაცვალსა ხელში ჩვენ განზრახ არ გამოვიყენებთ -še, როგორც ერგატივის ნიშანი, რადგანაც არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც iēše ე. წ. აბსოლუტური, ანუ წრფელობითი, ანუ, ჩვენი ტერმინოლოგიით, სახელობითი ბრუნვის ფორმაც იყო, ხოლო ერგატივის iēše < *iēše-še ფორმიდან (И. М. Дьяконов. Языки древней Передней Азии. М., 1967, გვ. 143). რომ iēše ჩვენს წინადადებაში მართლაც ერგატივიზია, ამის დამტკიცება არაა ძნელი. საკმარისია ზმნა (agu-) მე-3 სუბიექტური პირის ფორმაში გადავიყვანოთ, ხოლო სუბიექტად რაიმე არსებითი სახელი გამოვიყენოთ, თუნდაც იჯვე Menua. გვექნება: Menua-še pili-ni agu-ni, სადაც Menua-še აშკარად ერგატივის ფორმითაა წარმოდგენილი.



ხელის ბრუნვის ფორმების დაპირისპირების საშუალებითაა რეალიზებული. ეს დებულება ი. ზიცარის მიხედვით „შერეული“ ტიპის ერგატიული ენის პირველ ნიშანს წარმოადგენს.

ვნახოთ ახლა რამდენად და როგორ აისახება **წებ** ურარტულ ზმნაში. ამისათვის კვლავ ავიღოთ ჩვენი სქემა და სამივე სახელი შევცვალოთ სათანადო სიმბოლოთი, მივიღებთ:



ამკარაა, რომ № 1 და № 3 წევრები ზმნაში -bi დაბოლოებითაა წარმოდგენილი იმ დროს, როცა № 2-ს agu-bi ზმნაში \emptyset ასახავს. ე. ი. (2) დაპირისპირება ურარტულ ენაში ზმნის ფორმებშია რეალიზებული № 1 და № 3 წევრების ერთნაირი ასახვის საშუალებით. ეს კი ი. ზიცარის მიხედვით „შერეული“ ტიპის ერგატიული ენის მეორე ნიშანია.

ნწ-ის ენებში ზმნებს უღლების ერთიანი პარადიგმა აქვთ იმისგან დამოუკიდებლად, გარდამავალია ესა თუ ის ზმნა, თუ არა. მაგალითად,

ქართ. გარდაუვალი	გარდამავალი
ვგორავ	ვხატავ
გორავ	ხატავ
გორავს	ხატავს
ვგორავთ	ვხატავთ
გორავთ	ხატავთ
გორავენ	ხატავენ

ვნახოთ რა მდგომარეობაა ურარტულში, რისთვისაც ავიღოთ იგივე ušta-და agu- ზმნების წარსული სრულის ფორმები, რადგანაც უღლების პარადიგმის ცოტად თუ ბევრად მთლიანად დანახვა ჩვენ მხოლოდ წარსულ დროში შეგვიძლია (აქაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მე-2 პირის ფორმები არ გავვანჩნია):

	გარდაუვალი	გარდამავალი
1. მხ. რ.	ušta-di „გამოვედი“	agu-li „გავიყვანე ისინი“
3. მხ. რ.	ušta-bi „გამოვიღა“	*agu-di ¹⁰ „გამიყვანა მე“

¹⁰ *agu-di ფორმა აღდგენილია ulhu-di's მიხედვით „მან მიბრძანა მე“ (ეს ზმნა



	გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი	გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი
1. მრ. რ.	* ušta-di-li ¹¹ „გამოვედით“	* ag-itu-še ¹² „გავიყვანეთ ის (ისინი)“
3. მრ. რ.	ušta-li „გამოვიდნენ“	ag-itu-ni „გავიყვანეს ის“

როგორც ვხედავთ, ფორმათა ასეთი დალაგების დროს არათუ არა გვაქვს პარადიგმათა რაიმე ერთიანობა, არამედ ერთი და იგივე ნიშანი, რომელიც ერთ შემთხვევაში 1-ელ პირთან გვხვდება მხ. რიცხვში (ušta-di), მეორე შემთხვევაში მხ. რიცხვის მე-3 პირთანა გვაქვს (agu-di). ამის მიუხედავად ყველა თანამედროვე ურარტულ გრამატიკაში გარდამავალი ზმნის უღლებების პარადიგმა სუბიექტის პირების მიხედვითაა აგებული, თუმცა ყველა ავტორი ერთხმად აღიარებს, რომ ურარტულ გარდამავალ ზმნას ობიექტის პირისა და რიცხვის გადმოცემის შესაძლებლობაც გააჩნია¹³. საქმის ასეთი ვითარების გამო ყველა მკვლევარი იძულებული იყო ელიარებინა, რომ ურარტულ ენაში „გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების უღლების პარადიგმები სხვადასხვაა“¹⁴.

ურარტულში გარდამავალია, რაზეც სათანადო მაჩვენებელი -u- მიუთითებს). იხ. ი. დ ი ა კ ო ნ ო ვ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 151, ტაბ. 5, შენიშვნა 7.

¹¹ * -di-li დაბოლოება გარდაუვალი ზმნის მრ. რ. 1 პირისათვის ხურიტულ -ti-lla'სთან შეპირისპირების საფუძველზე რეკონსტრუირებული აქვს ი. დიაკონოს. იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 150.

¹² *ag-itu-še მოგვეყვას šidištuše'ს მიხედვით („ჩვენ ავაშენეთ“). იხ. Г. А. М е л и к и ш в и л и, Урартские клинообразные надписи. М., 1960, გვ. 68, 123—124; მისივე, Урартский язык. М., 1964, გვ. 48—49, სადაც მოტანილია ამ სიტყვის შემცველი ერთი მაგალითი. იმ მაგალითში ობიექტი მხ. რიცხვშია, მაგრამ სრულიად სამართლიანად იქცევა გ. მელიქიშვილი, როცა ზმნას „ჩვენ ავაშენეთ“ თარგმნის ობიექტის გარეშე, რადგანაც ზმნის ფორმა ობიექტის რიცხვზე არაფერს გვიუბნება. ეს šidištuše, ჩვენი აზრით, მოდის *šidišt-itu-še'დან, სადაც -itu-, როგორც ყოველთვის, სუბიექტის მრავლობითობის მაჩვენებელია, ხოლო -še — მრ. რიცხვის 1 პირის ნაცვალსახელის ბოლო მარცვალი, რომელიც ალბათ ერგატვის ნიშანი უნდა იყოს და, ამდენად, სუბიექტის პირს გვიჩვენებს.

¹³ იხ.: J. Friedrich, Einführung ins Urartäische. Mitteilungen der Vorderasiatisch-Ägyptischen Gesellschaft, Bd. XXXVII, Heft 3. Leipzig, 1933; A. Goetze, On Some Urartean Verbal Forms. RHA, fasc. 24 (1936); ი. მეუზიანის ნოვი, დასახ. ნაშრ.; გ. მელიქიშვილის ორივე დასახ. ნაშრომი; ი. დიაკონოვი, დასახ. ნაშრ.; მისივე, Hurrish und Urartäisch. Münchener Studien zur Sprachwissenschaft. Beiheft 6. Neue Folge. München, 1971.

¹⁴ ი: მეუზიანის ნოვი, დასახ. ნაშრ.. გვ. 6. ურარტულში გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების ფორმათა განსხვავების შესახებ იხ. აგრეთვე Г. А. М е л и к и ш в и л и, Урартские клинообразные надписи, გვ. 65; მისივე, Урарт-



ამ ლებულებების მცდარობა აშკარა გახდება, თუ გარდამავალი ზმნის ფორმებს ობიექტის პირის მიხედვით დავაწყობთ და ისე დავუყენებთ გვერდზე გარდაუვალი ზმნის უღლებების პარადიგმას:

	გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი		გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი
1. მხ. რ.	ušta-di „მე გამოვედი“	*	agu-di „მე გამიყვანა მან“
3. მხ. რ.	ušta-bi „ის გამოვიდა“		agu-bi „ის გავიყვანე მე“
			agu-ni „ის გაიყვანა მან“
		*	ag-itu-še „(ის) გავიყვანეთ ჩვენ“
			ag-itu-ni „ის გაიყვანეს მათ“
1. მრ. რ.	* ušta-di-li „ჩვენ გამოვედით“	*	agu-di-li ¹⁵ „ჩვენ გავიყვანა მან“
3. მრ. რ.	ušta-li „ისინი გამოვიდნენ“		agu-li ¹⁶ „ისინი გავიყვანე მე“
			agu-a-li „ისინი გაიყვანა მან“
		*	ag-itu-še „(ისინი) გავიყვანეთ ჩვენ“
			ag-itu-li „ისინი გაიყვანეს მათ“

ский язык, გვ. 45; აგრეთვე, ი. დიაკონოვისა და ი. ფრიდრიხის დასახ. ნაშრომებში. ამავე საკითხს ეხება ნ. ნოზაძე თავის ახლახანს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში Вопросы структуры хурритского глагола. Тб., 1978, სადაც მან ხურიტულის ენობრივ ფაქტებთან „შედარებისათვის... გამოიყენა სხვადასხვა ენის მონაცემები“ (გვ. 7) და პირველ რიგში, რასაკვირველია, ხურიტულის ახლომონათესავე ურარტულისა. მოცემული საკითხის ირგვლივ შემოჩამოთვლილი ავტორების მოსაზრებების განხილვასა და კრიტიკაზე აქ არ შეეჩერდებით, რადგანაც ვადაწყვეტილი გვაქვს ამ საკითხს ცალკე შრომა მივუძღვნათ.

¹⁵ ფორმა აღდგენილია šiu-di-li's მიხედვით „მან გავგზავნა ჩვენ“. იხ. И. М. Дьяконов, Языки древней..., გვ. 151, ტაბ. 5, შენიშვნა 7.

¹⁶ ტექსტების -ú-ú-li/e's საფუძველზე ი. დიაკონოვი 3. ობ. მრ. რ. 1. სუბ. მხ. რიცხვის დაბოლოებას აღადგენს -v-ia's (ia=li—ი. მ.) სახით, სადაც მისი აზრით -v- 1=-სუბიექტური პირის ნიშანია, ხოლო -ia (=li) — 3. ობ. პ. მრ. რიცხვისა. ამავე -v-'ს ხედავს ის -še's წინა, რომელზედაც ამბობს, რომ იწერება -ú-še, -ú-ú-še. იგივე -v- არის წარმოდგენილი, მისი აზრით, გარდამავალი ზმნის -bi'ში, რომელსაც ის -va' სახით წერს და სუბიექტურ (1 პირის) ნიშნად მიაჩნია. იმ დროს, როცა გარდაუვალი ზმნის 3 პირის ნიშანს წერს, როგორც -ha's, ე. ი. სრულიად არ უწევს ანგარიშს ჩვენს მიერ გამოვლენილ სისტემას, რომელიც ურარტული ზმნის პარადიგმატულ ერთიანობაში გამოიხატება. იხ. И. М. Дьяконов,

ასეთი განლაგებისას გარკვეული სისტემა უკვე აშკარად შეიმჩნევა. როგორც ვხედავთ, გარდაუვალი ზმნის სუბიექტის პირის გამოყენებული აფიქსები ხშირად ემთხვევა გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის პირის გამოყენებულ აფიქსებს; მაგ.: ორივე რიცხვის 1. პირში — *-di* (მხ.-ისათვის) და *-di-li* (მრ.-ისათვის), მრ. რიცხვის 3. პირში — *-li*. რაც შეეხება მხ. რიცხვის 3. პირს, აქ ცოტა უფრო რთულადაა საქმე — გვაქვს ორი ნიშანი: *-bi* — გარდაუვალ ზმნასთან და გარდამავალი ზმნის მხ. რიცხვის სუბიექტურ 1. პირთან, და *-ni* — გარდამავალი ზმნის ორივე რიცხვის სუბიექტურ 3. პირთან. მრ. რიცხვის სუბიექტურ 1. პირთან ობიექტურ 3. პირის არც ერთი დაბოლოება არა გვაქვს (*-bi*, *-ni*, *-li*) არც მხ. და არც მრ. რიცხვში.

თუ ჩვენ ამ პარადიგმებს შევადარებთ შესაბამის ბასკურ პარადიგმებს, თვალში გვეცემა განსხვავება მათ შორის — ბასკურში ყველა ჩამოთვლილ სირთულესა და სიჭრელეს გვერდი აქვს ავლილი¹⁷. რა გზით მოხერხდა ეს? თუ კარგად დავაკვირდებით ურარტული გარდამავალი ზმნის ფორმებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ მათს ბოლოში, ზმნის ძირისა და გარდამავლობის მაჩვენებლის *-u*-ს შემდეგ შემოჩამოთვლილი ობიექტური პირის ნიშნების გარდასხვადასხვა აფიქსია დართული. ამ აფიქსებს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, ადგილიც სხვადასხვა უკავია: ზოგი ზმნის ძირსა და ობიექტური პირის ნიშნებს შორისაა მოთავსებული (მაგ. *-itu*, რომელიც აშკარად სუბიექტის მრავლობითობას უჩვენებს; აგრეთვე გაურკვეველი მნიშვნელობის მქონე *-a*), ზოგი კი ობიექტური პირის ნიშნების შემდეგ მოდის (მაგ. *-še*, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნაცვალსახელური წარმოშობის ენკლიტიკაა და სუბიექტის მრავლობითობის შემთხვევაში მის 1. პირს გვიჩვენებს). რაც შეეხება ზმნური ძირის წინა პოზიციას, აქ არაფერი არა გვაქვს. მოკლედ რომ ვთქვათ, ურარტული ენა უღლებაში (ისევე, როგორც ბრუნებაში და სიტყვათწარმოებაში) სუფიქსაციას მიმართავს და სრულიად გამოუყენებელს ტოვებს პრე-

Языки древней..., გვ. 151, ტაბ. 5 (თავისი შენიშვნებითურთ). ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვირდებოდა ამ თვლასაზრისის დეტალურ განხილვასა და უარყოფაზე. მას პირველი შეხედვითაც კი ბევრი სუსტი ადგილი აქვს. საჭმარისია ითქვას თუნდაც ის, რომ *-bi* დაბოლოება, რომელიც გარდამავალ ზმნასთან იხმარება, სწორედ 3. ობ. პირის ნიშანია, და არა სხვა რამისა, რადგანაც მისი იგივეობა გარდაუვალი ზმნის 2. პირის ნიშან *-bi*-სთან სრულიად აშკარაა.

¹⁷ იხ. ი. ზ ი ც ა რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 40—41.



ფიქსაციის შესაძლებლობას. ამის საწინააღმდეგოდ ბასკური ფართოდ იყენებს როგორც ერთს, ისე მეორეს. კერძოდ, გარდამავალი ზმნის უღლებიას ობიექტური პირის ნიშნები (რომლებიც ემთხვევა გარდაუვალი ზმნის პირის ნიშნებს) წინიდან დაერთვის ზმნას (პრეფიქსაცია), ხოლო სუბიექტური პირის ნიშნები და (მათ წინ) ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი აფიქსი— ბოლოდან (სუფიქსაცია)¹⁸. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ბასკურის შემთხვევა ერგატიული ენებისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს (პრეფიქს-სუფიქსურია უღლება, მაგ., დარგულუში, ოდენ პრეფიქსული — ხუნძურში, აფხაზურში და სხვ.), ოდენ სუფიქსური ერგატიული ენა (როგორცაა ურარტული და, როგორც ჩანს, მისი მონათესავე ხურიტულიც) ჩვენთვის აქამდე უცნობი იყო.

სწორედ სუფიქსაციის ასეთი საყოველთაო გავრცელება ურარტულში ისეთი ფონეტიკური მოვლენის ხშირ შემთხვევებთან ერთად, როგორცაა ჰაპლოლოგია, ჩვენი აზრით, ნაწილობრივ ხსნის ზემოთ აღნიშნულ სიჭრელესა და გაურკვევლობას, რომელიც გარდამავალი ზმნის უღლების პარადიგმის გაფორმებისას გვაქვს. კერძოდ, მაგალითად, მრ. რიცხვის სუბიექტური 1. პირის ფორმებთან -še's წინ შესაბამისი ობიექტური პირის ნიშანი უნდა გვექონოდა (ე. ი. მხ. რ. 3. პ. — -bi ან -ni; მრ. რ. 3. პ. — -li), რომელიც -še's ენკლიტიკური დართვის შედეგად ჩავარდა, ე. ი. ერთ შემთხვევაში *ag-itu-še < *ag-itu-bi / ni+ -še, ხოლო მეორე შემთხვევაში *ag-itu-še < *ag-itu-li+ -še¹⁹.

ახლა მხოლოდ -bi / ni-ს საკითხილა დარჩა, რომელიც, ჩვენი აზრით, შემდეგნაირად შეიძლება გადაწყდეს: ორივე ეს ფორმანტი (-bi, -ni) ადრე ერთნაირი წარმატებით იხმარებოდა როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი ზმნისათვის (ამ უკანასკნელ შემთხვევაში სუბიექტის პირისაგან დამოუკიდებლად) ე. წ. აბსოლუტური რიგის მხ. რიცხვის 3. პირის ნიშნად: მოგვიანებით კი, როცა ურარტულმა ზმნამ სცადა ერგატიული წევრის პირიც აესახა, ამ ორ, წარმოშობით დუბლეტურ ფორმანტს გარდამავალ ზმნაში სუბიექტური 1. პირის მხ. რიცხვისა (შეიძლება მრ. რიცხვისაც?) და სუბიექტური 3.

¹⁸ ი. ზ ი ც ა რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 40—41.

¹⁹ შემთხვევები, როცა ენკლიტიკის დართვა წინამავალი მარცვლის ჰაპლოლოგიას იწვევს, ურარტულში გვაქვს. მაგ., aru-ni „მან მისცა ის“ (ვის მისცა არ ჩანს) + -me „მე“ (ენკლიტიკური ნაცვალსახელი 1. პირის მიც. ბრუნვაში) > aru-me „მან მომცა ის მე“.



პირის (ორივე რიცხვის) ფორმებს შორის დაპირისპირების გამოწვევა დაეკისრა, ხოლო მას შემდეგ კი, რაც ამ გზით მათი (-bi'სა და -ni'ს) თავისუფალი მონაცვლეობა მოისპო, გარდაუვალი ზმნის შესაბამისი პირის ფორმაშიც ერთ-ერთი მათგანი უნდა გაბატონებულიყო. ასეც მოხდა — გარდაუვალ ზმნასთან ჩვენ მხოლოდ -bi გვხვდებოდა. ყოველ შემთხვევაში სინქრონულ პლანში ეს -bi/ni ე. წ. აბსოლუტური რიგის მხ. რიცხვის 3. პირის მორფემის მორფოლოგიურად შეპირობებულ ალომორფებად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომელთა დისტრიბუციაზე ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ურარტული ზმნის უღლებასში გარდაუვალი ზმნის პირის ნიშნები და გარდამავალი ზმნის „ობიექტური“ (resp. აბსოლუტური) რიგის პირის ნიშნები ერთმანეთის მიმართ სრულიად იდენტურია, რაც ნიშნავს, რომ ურარტულ ზმნას (გარდამავლობისაგან დამოუკიდებლად) გააჩნია უღლების ერთიანი პარადიგმა, რომელიც ერგატიული პრინციპითაა ორგანიზებული და რაც თავის მხრივ, ი. ზიცარის მიხედვით, „შერეული“ ტიპის ერგატიული ენის მესამე ნიშანს წარმოადგენს.

როგორც ვნახეთ, ურარტულ ენას ი. ზიცარის მიერ დადგენილი სამივე ნიშანი ახასიათებს, ე. ი. გ. კლიმოვის მიერ ურარტული ეკ სამართლიანადაა კვალიფიცირებული „შერეული“ ტიპისად.

მას შემდეგ, რაც დავადგინეთ, რომ ერგატიულობა ურარტულში ფორმოზღვივად სახელშიცაა რეალიზებული და ზმნაშიც, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდგომში ამ ენის მიმართ ტრადიციული ტერმინების „სუბიექტისა“ და „ობიექტის“ ნაცვლად ვიხმაროთ „ერგატიული წევრი“ (=გარდამავალი ზმნის სუბიექტი) და „აბსოლუტური“ (=არაერგატიული, ნომინატიური) წევრი“ (=გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი), ხოლო „სუბიექტური პირისა“ და „ობიექტური პირის“ ნაცვლად — „ერგატიული პირი“ (=გარდამავალი ზმნის სუბ. პირი) და „აბსოლუტური პირი“ (=გარდაუვალი ზმნის პირი და გარდამავალი ზმნის ობ. პირი).

„შერეული“ ტიპის ერგატიული ენის ზემომოყვანილი II და III ნიშნებიდან გამომდინარე ამ ტიპის ენებში აბსოლუტური [(2) ფორმულის მიხედვით № 1 და № 3] წევრი აისახება ზმნაში, ანუ ზმნას აქვს შესაბამისი რიგის პირისა და რიცხვის მაწარმოებლები. რაც შეეხება ერგატიულ [(2) ფორმულაში № 2] წევრს, ზმნაში მისი

შესაბამისი მარკერის არსებობა, როგორც დაადგინა ი. ზიცარმა, საზოგადოდ არც ერთი ტიპის ერგატიული ენისათვის არაა აუცილებელი. იმის მიხედვით, წარმოდგენილია ერგატიული პირი ზმნაში თუ არა, „შერეული“ ტიპის წმტ-ის მქონე ენები შეგვიძლია ორ ქვეტიპად დავყოთ, რომელთაც პირობით „განუვითარებელი“ № 2 წევრი არაა მარკირებული) და „განვითარებული“ (№ 2 წევრი მარკირებულია) შეგვიძლია ვუწოდოთ²⁰. ამ ქვეტიპებისათვის, სათანადო აღნიშვნების შემოტანით, (2) ფორმულა შემდეგნაირად შეიძლება გადაიწეროს:

„განუვითარებელი“ ქვეტიპი
1,3 NV∞2 N (2.21),

„განვითარებული“ ქვეტიპი
1,3 NV∞2 NV (2.22).

ამ ფორმულებში N (Nomen) დაპირისპირების ნიშნის (∞) ორივე მხარეს ნიშნავს, რომ ეს დაპირისპირება სახელის შესაბამის ბრუნვათა ფორმების დაპირისპირებით გამოიხატება (I ნიშანი), V (Verbum) ორივე ფორმულის მარცხენა ნაწილში ნიშნავს, რომ № 1 და № 3 წევრები ზმნის ფორმაში აისახება (II და III ნიშნები), ხოლო რაც შეეხება V-ს არსებობას (2.22) ფორმულის მარჯვენა ნაწილში და მის არარსებობას (2.21) ფორმულაში იმავე ადგილას, ეს სწორედ ისაა, რაც განსხვავებას ქმნის ამ ორ ფორმულას შორის და, ამდენად, ორ ქვეტიპად დაყოფის საფუძველს წარმოადგენს, — „შერეული“ ტიპის წმტ-ის „განუვითარებელ“ ქვეტიპში № 2 წევრი ზმნის ფორმაში არაა მარკირებული, ხოლო „განვითარებულ“ ქვეტიპში — მარკირებულია.

ამ ორი (2.21) და (2.22) ფორმულიდან შეგვიძლია „შერეული“ ტიპის წმტ-ის ზოგადი ფორმულა გამოვიყვანოთ:

1,3 NV∞2 N(V) (2.2),

სადაც მარჯვენა ნაწილში ფრჩხილებში ჩასმული V იმ აზრს გამოხატავს რომ № 2 წევრი შეიძლება იყოს ასახული ზმნაში, შეიძლება — არა²¹.

²⁰ ი. ზ ი ც ა რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 42—43.

²¹ ეს ფორმულა ჩვენ (2.2)-ით იმიტომ ადგენიანთ, რომ ის „შერეული“ ტიპის წმტ-ის არსს გამოხატავს, რომელიც გ. კლიმოვის შემოთავაზებულ კლასიფიკაციაში № 2 სქემითაა გადმოცემული. (2.2), (2.21) და (2.22) ფორმულების ნიშნით ჩვენ შე-



ენახოთ ახლა, „შერეული“ ტიპის წებ-ის ზემოთ აღნიშნულ ქვეტიპთაგან სახელდობრ რომელს მიეკუთვნება ურარტული *მა*, ე. ი. ასახულია თუ არა ურარტულ ზმნაში ერგატიული წვერი № 2. ამ კითხვას რომ დადებითი პასუხი გავცეთ, ამისათვის საკმარისია კიდევ ერთხელ შევავლოთ თვალი ურარტული გარდამავალი ზმნის (*ag-u-*) უღლებს პარადიგმას (იხ. ზემოთ), სადაც აბს. 3. პირს ორივე რიცხვში ოთხ-ოთხი ფორმა გააჩნია, რომლებიც მნიშვნელობით ერთმანეთისაგან სწორედ ერგატიული წვერის პირის მიხედვით განსხვავდება (შესაბამისად 1. პ. მხ. რ., 3. პ. მხ. რ., 1. პ. მრ. რ., 3. პ. მრ. რ. როგორც ცნობილია, მე-2 პირის ფორმები არა გვაქვს). მაგრამ ხსენებული წვერის (№ 2) მრავლობითობის მაჩვენებლის — *-itu* = 'ს გარდა, რომელსაც მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს და მთლიანად გამოხატავს მას, ჩვენ არა გვაქვს ერგატიული რიგის სხვა პირის ნიშნები, რომლებიც სისტემატურად შეგვხვდებოდა მთელს პარადიგმაში ერთი და იმავე პირის მნიშვნელობით²². მართლაც, 1. და 3. ერგატიული პირების განსხვავება სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებული ხერხებით მიიღწევა: მხ. რიცხვის 3. აბს. პირთან მხ. რიცხვში მყოფი ერგ. წვერის დროს — მხ. რიცხვის 3. აბს. პირის ფორმანტის წარმოშობით დუბლეტურ ფორმათა (*-bi / ni*)

გვიძლია გამოვიყვანოთ მსგავსი ფორმულები „ზმნური“ (სქემა № 1 გ. კლიმოვის მიხედვით) და „სახელური“ (სქემა № 3 გ. კლიმოვის მიხედვით) წებ-ისათვის. ეს ფორმულები შემდეგნაირად გამოიყურება:

წებ-ის „ზმნური“ ტიპი:
 $1,3 V \infty 2 (V)$ (2.1)

ორი თეორიულად შესაძლებელი ქვეტიპით: „განუვითარებელით“
 $1,3 V \infty 2$ (2.11)

და „განვითარებულთ“
 $1,3 V \infty 2 V$ (2.12).

წებ-ის „სახელური“ ტიპი:
 $1,3 N \infty 2 N$ (2.3).

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ (2.21) და (2.22) ფორმულები უკვე შემოტანილია ი. ზიცარის მიერ (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 42—43), თუმცა ამ ფორმულებს მასთან რამდენადმე განსხვავებული სახე აქვთ.

²² *-itu*-ს ეს ერთმნიშვნელობიანობა შენიშნა ჯერ კიდევ ი. მეშჩანინოვმა. იხ. მისი დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 24—25.



თავისუფალი მონაცვლეობის მორფოლოგიზაციისა და ერთ-ერთი მათგანის (-bi) 1. ერგ. პირთან, ხოლო მეორის (-pi) — 3. ერგ. პირთან დამატების გზით; მრ. რიცხვის 3. აბს. პირთან ასევე მხ. რიცხვში მყოფი ერგ. წევრის დროს — 1. ერგ. პირის ფორმაში ფუძე-სა და მრ. რიცხვის 3. აბს. პირის ფორმანტს (-li) შორის გაურკვეველი მნიშვნელობის მქონე -a-'ს²³ ჩამატებისა და ამგვარად 3. ერგ. პირის ფორმის მიღების გზით; ხოლო მრ. რიცხვში მყოფი ერგ. წევრის დროს ორივე რიცხვის 3. აბს. პირთან 1. ერგ. პირის ფორმანაწარმოებია 3. ერგ. პირის ფორმიდან -še ენკლიტიკის დამატების გზით, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, თუმცა დამწერლობის ხანის ურარტული გარდამავალი ზმნა იუღლება ერგატიული პირის მიხედვით, პირის ნიშანთა სისტემა ჩამოყალიბებული არაა, რაც, ჩვენი აზრით, იმით შეიძლება აიხსნას, რომ ერგატიული პირის გამოხატვა გარდამავალი ზმნის პარადიგმაში ფრიად ახალი მოვლენაა ურარტულისათვის, ე. ი. ურარტული ეკ „შერეული“ ტიპის „გ ა ნ უ ვ ი თ ა რ ე ბ ე ლ ი“ ქვეტიპიდან „გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ე ლ ი“ ქვეტიპისაკენ გარდაქმნის გზაზეა. მსგავსი პროცესი შეინიშნება ზოგიერთ დღესტნურ ენაშიც.

22371

И. Г. МАЧАВАРИАНИ

480312


О ТИПОЛОГИИ СУБЪЕКТНО-ОБЪЕКТНЫХ ОТНОШЕНИЙ В УРАРТСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Статья посвящена одному из наиболее важных вопросов грамматической структуры урартского языка — вопросу о субъектно-объектных отношениях. Автор ставит целью синхронное изучение урартской эргативной конструкции, установление ее типа (по трехчленной классификации Г. А. Климова: «глагольный», «смешанный», «именной») и характерных особенностей.

²³ ეს -a- შეიძლება თავდაპირველი თემატური აფიქსი იყოს, ან კიდევ რაიმე სხვა, პირისაგან განსხვავებული ზმნური კატეგორიის მაჩვენებელი.

2. კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, VI



По мнению автора, эргативность субъектно-объектных отношений в урартском отражена как в имени, так и в глаголе, что в свою очередь означает, что урартский — эргативный язык «смешанного» типа. Характерной же особенностью урартского языка в целом (впрочем, так же, как и родственного с ним хурритского) является абсолютное господство суффиксации и полное отсутствие префиксации как в именном склонении, так и в глагольном спряжении (как, впрочем, и в словообразовании), что создавало автору определенные трудности при установлении эргативного характера парадигмы глагольного спряжения.

М. ХВЕДЕЛИДЗЕ

ЗАМЕТКИ О ДРЕВНЕЕГИПЕТСКОЙ ДРАМЕ ЭПОХИ ДРЕВНЕГО ЦАРСТВА

В Древнем Египте не было театра в современном или греческом понятии, однако спор — существовала ли древнеегипетская драма — прекратился после того, как в 1928 г. крупнейший немецкий ученый К. Зете опубликовал свой труд «Драматические тексты к древнеегипетским мистериям»¹. Издание содержит два образца древнеегипетских драматических текстов из разных эпох: более древний датируется первыми веками третьего тысячелетия до н. э., то есть началом эпохи Древнего царства, второй — временем царствования Сенусерта I (1971—1928 гг. до н. э.). К. Зете проделал скрупулезный анализ структуры, своеобразного расположения иероглифов, специфики языка данных текстов и пришел к выводу, что они оба были созданы для драматических представлений. Впоследствии было обнаружено еще несколько древнеегипетских драматических текстов; однако, несмотря на живой интерес, который чувствуется в египтологической литературе по этому вопросу, древнеегипетская драма изучена очень слабо и на данном этапе о ней возможны лишь довольно общие суждения².

По мнению Х. В. Фэрмена, изучение специфики древнеегипетской драмы осложняется по двум причинам: до сих

¹ K. S e t h e, Dramatische Texte zu altägyptischen Mysterienspielen, in Untersuch. zur Geschichte und altertumskunde Ägypter, X, Leipzig, 1928.

² Изучение древнеегипетской драмы, среди прочих, осложняет то обстоятельство, что драматические тексты, которые относительно легко поддаются чтению, весьма фрагментарны. Основная масса драматических текстов записана так наз. храмовой иероглификой (напр., на стенах эдфусского храма), которая пока изучена весьма поверхностно и трудно поддается дешифровке.

пор не найдено ни одной древнеегипетской постройки, специально предназначенной для драматических представлений, и очень сомнительно, что такая вообще существовала, далее, из-за своеобразности древнеегипетского письма и манеры составления надписей, ни одни из известных древнеегипетских драматических текстов нельзя назвать «пьесой». «Мы даже не знаем, были ли в египетском языке такие слова, как «драма», «пьеса», «представление» или «сцена» — отмечает он³.

В статье «Происхождение древнегреческого театра»⁴ Б. Стрикер дает интересный ретроспективный анализ трех основных частей древнегреческой театральной постройки — амфитеатра, сцены и оркестры.

Во втором веке до н. э. римский сенат издал декрет, согласно которому римским гражданам воспрещалось наблюдать представления сидя⁵. Так как не сохранилось подобных сведений применительно к греческому театру, то можно было подумать, что вышеуказанная мера является спецификой Рима, однако это не так. В древности стоять на ногах считалось знаком уважения к чему-либо святому, возвышенному. Сам царь должен был стоять перед богом⁶; на Синае народ стоя слушал Эзру, когда тот читал им священное писание⁷. Моисей сидя судил народ, который должен был стоять перед ним. Сохранилась еврейская традиция, согласно которой сатана присутствует в тех местах библейского текста, где упоминается слово «сидеть».

Древний театр считался священным местом, представления воспринимались как священные действия и проводились только во время определенных религиозных праздников. Даже греческий театр, несмотря на огромную эволюцию, не освободился окончательно от религиозной оболочки. Поэто-

³ Н. W. Fairman, *The Triumph of Horus, The Egyptian Sacred Drama*, London, 1974.

⁴ В. Н. Striker, *The Origins of the Greek Theatre*, JEA 41, 1955, с. 134—47.

⁵ Там же, с. 37.

⁶ Исход, 20, 18, 21.

⁷ Исход, 18, 13, 14.

му вполне естественно допустить, что амфитеатр является вторичным элементом театра, который развился после того, как драматические представления несколько утратили религиозную окраску. «Древнейший зритель просто стоял вокруг того места, где происходило драматическое представление»⁸.

Сцена в современном понятии также относительно поздно происхождения. В древнейших театральных постройках каменной сцены не было. Ее название — *σκηγή* — «палатка» — указывает на то, что вначале довольствовались временными приготовлениями. Конструкция амфитеатра такова, что сцена не видна со всех его мест, тогда как видимость орхестры идеальна отовсюду. «Сцена, как «палатка», имеет очень древнюю историю, однако изначально она не являлась основным элементом театра»⁹.

По мнению Стрикера, единственной составной частью древнейшего греческого театра была орхестра¹⁰. В пользу этой гипотезы говорит и то, что слово «орхестра» имеет тот же корень, что и „*ὄρχησις*“ «танец», — ведь ритуальный танец является одним из древнейших прародителей театра. Это было круглое пространство, которое вероятно находилось в пределах храмовой территории или недалеко от нее, считалось священным и границы которого были отмечены камнями или как-нибудь иначе. Согласно Аристотелю, в древности орхестра была покрыта соломой¹¹. Это указывает на то, что когда-то это было место, где присутствие соломы считалось естественным явлением, то есть, это было гумно; в противном случае сначала же для покрытия орхестры был бы использован песок (что гораздо более удобно), как это делалось в более поздние времена¹². В Греции древнейшее священное гумно было обнаружено в Дельфах, при раскопках теменоса храма Аполлона. Здесь священнослужители собирались в день праздника Аполлона для большой праздничной церемонии.

⁸ В. Н. Striker, The Origins... с. 37.

⁹ Там же, с. 38.

¹⁰ Там же, с. 39.

¹¹ Там же, с. 40.

¹² Там же, с. 41.

Любопытно, что в Ветхом завете гумно считается священным местом. Например, ангел, принесший Израилю чуму, объявился Давиду именно когда он был на гумне¹³ и здесь же он принес жертву богам, чтобы спасти от чумы свой народ¹⁴.

Здесь надо отметить, что хотя в опубликованных К. Зете драматических текстах не упоминается в точности место, где происходило их представление, однако в одном из них¹⁵ несколько раз встречается слово «гумно» и упомянуты быки, которые были принесены в жертву на этом гумне.

Следовательно, если допустить, что драматические представления в Древнем Египте происходили недалеко от храмов или на храмовой территории в каком-либо определенном месте, которое специально предназначалось для подобных представлений, имело обозначенные границы и считалось священным, и что зритель наблюдал за представлениями стоя на ногах вокруг этого места, то вполне естественно, что не сохранилось ни одной древнеегипетской постройки, специально предназначенной для драматических представлений.

Дж. М. Китагава, анализируя ритуальные церемонии и примитивную (религиозную) драму, отмечает, что ритуальные церемонии были общим делом всего архаического общества. В них принимало участие все население и фактически не было разницы между исполнителями и зрителями¹⁶. По мнению А. Д. Авдеева, одним из важнейших моментов в развитии драматического искусства является отделение зрителя от участников представления¹⁷.

Древний Египет необычайно богат религиозными церемониями и ритуалами. К древнейшему периоду египетской истории относится, например, церемония под названием «шествие вокруг стен». Это была церемония систематического характера, которая проводилась в Мемфисе, в первый день

¹³ Вторая книга царств, 24, 14—25.

¹⁴ Вторая книга царств, 24, 17.

¹⁵ А именно в более позднем тексте эпохи Сенусерта I.

¹⁶ J. M. Kitagawa, *Primitive, Classical and Modern Religions in the History of Religions*, Chicago, 1965, с. 48.

¹⁷ А. Д. Авдеев, *Происхождение театра*, М., 1959, с. 76.

месяца Тиби, (день праздника г. Мемфиса), и на 26-й день месяца Хойак (праздник Сокара). К. Зете датирует эту церемонию эпохой I-й династии, однако проводилась она и в более поздние времена, в эпоху Древнего царства¹⁸. Церемония являла собой праздничное ритуальное шествие вокруг «белой стены» г. Мемфиса¹⁹.

Эпоха I династии (начало III тысячелетия до н. э.) была эпохой больших переломов в истории Древнего Египта. Завершился длительный процесс объединения бесчисленных городов-государств в единое государство. Многовековая борьба за объединенную египетскую корону закончилась победой южных фараонов. На границе Верхнего и Нижнего Египта был заложен фундамент нового города — Мемфиса, который был объявлен столицей объединенного государства. Бог-покровитель Мемфиса — Пта был провозглашен верховным египетским божеством. Как видно из археологических исследований, район Мемфиса до времен I династии был малонаселенной, политически незначительной административной единицей. Культ Пта, если он вообще существовал, мог быть лишь незначительным культом маленького божка малонаселенного пункта (найденное до сих пор древнейшее изображение Пта датируется I династией)²⁰.

До политического объединения культурно-религиозным центром Египта был северный город Гелиополь. Уже в IV тысячелетии до н. э. здесь сформулировалась довольно стройная религиозная система, в центре которой стояло солярное божество (Атум-Ра)²¹. Несмотря на политическую раздробленность страны, Атум-Ра был довольно популярен и к моменту политического объединения страны оказался самой значительной фигурой огромного пантеона. Следовательно,

¹⁸ K. Sethe, Beiträge zu älteste Geschichte Ägyptens, Menes und die Gründung von Memphis, Untersuch. zur Geschichte und Altertumskunde Ägyptens, III, 1903, с. 133 —135.

¹⁹ „Белая стена“ (inb hq) — одно из нескольких древнейших названий Мемфиса. Существует мнение, подкрепленное археологическими исследованиями, что Мемфис был окружен стенами (возможно белыми) с трех сторон.

²⁰ F. Petrie, Tarkhan I and Memphis V. London, 1913, табл. 3.

²¹ K. Sethe, Amun und die acht Urgötter von Hermopolis, «Abh. der Preuss. Akad. der Wissenschaften», Berlin 1929, с. 122.

хотя южане и одержали политическую победу, религиозный и культурный центр страны оказался на севере. Перед молодой столицей возникла огромная задача — ей пришлось бороться с древнейшими, уходящими вглубь веков традициями Гелиополя, что было весьма сложно в консервативном Египте. Городу нужно было создать свои традиции, сформировать собственный пантеон, бог-покровитель города — Пта нуждался в мощной теологической поддержке. Естественно, что в таких условиях родилось множество разнообразных церемоний, что в тогдашних условиях являлось единственным средством наглядной массовой агитации. Палермский камень, содержащий летопись эпохи первых династий, буквально испещрен краткими описаниями или просто упоминаниями различных церемоний. Почти все они имели одну и ту же цель — возвеличение Мемфиса и Пта. Следовательно, несмотря на религиозное оформление, они преследовали очень важную политическую цель. Именно такова вышеназванная церемония «шествие вокруг стен». К этой же эпохе относится церемония «воздвижение колонны Дждед (dd)», которая проводилась на тридцатый день месяца Хойак. Дждед считался воплощением, символом Пта-Сокар-Осириса. Церемония выполнял сам фараон, рядом с которым должен был стоять верховный жрец Мемфиса²².

Одним из основных характерных черт подобных церемоний несомненно являлась их массовость. Несмотря на то, что центральные роли исполнялись фараоном и жрецами, бесспорным соучастником церемониального шествия вокруг стен, воздвижения Дждед-колонны и других бесчисленных церемоний являлся и народ. Тем не менее, подобные церемонии уже содержат элементы драмы.

Однако дошедшие до нас драматические тексты той эпохи указывают на то, что уже во времена первых династий драма отделилась от церемонии и ритуала. Самостоятельное оформление драмы в столь ранние времена (III тысячелетие до н. э.) несомненно было следствием бурного развития церемоний, вызванного спецификой эпохи. Следовательно, драма со своей спецификой, религиозная церемония и ри-

²² K. S e t h e, Beiträge zur älteste Geschichte Ägyptens... с. 134.

туал существовали бок о бок и развивались собственными путями уже начиная с эпохи Древнего царства.

Как было указано выше, один из двух опубликованных К. Зете драматических текстов датируется эпохой Древнего царства. Его содержание и тенденция вполне соответствуют той эпохе — древнейший миф об Осирисе связан с Мемфисом и Пта. Из первых же строк мы узнаем, что столицей страны является Мемфис, что властелин Египта, воссоединивший оба царства (т. е. Верхний и Нижний Египет) есть Пта-Татенен, единственное верховное божество, создатель самого себя и вселенной, который в то же время есть не кто иной как Гор²³. Хотя участниками драмы являются боги и ее сюжет целиком взят из мифологии, известные мифы оформлены здесь так тенденциозно, что драму вполне свободно можно назвать политической²⁴.

Гранитная плита, сохранившая текст драмы, совершенно случайно попала в Британский музей в 1895 году. Она сильно повреждена и большая часть текста утеряна. Надпись, состоящая из двух горизонтальных и шестьдесят двух вертикальных строк, делится по содержанию на две части — драматическую и теологическую. Первая (строки 3—47 и 63—64) является вышеназванной политической драмой, вторая (строки 48—62) — теологической спекуляцией в честь Пта. Текст сохранился благодаря стараниям фараона XXV (эфиопской) династии Шабаци, по приказу которого он был перенесен на гранитную плиту со старого и истлевшего папируса. Этот так наз. «камень Шабаци» оказался поистине бесценной находкой для египтологии — он сохранил как один из важнейших вариантов (а именно мемфисский) древнеегипетской космогонии, так и найденный до сих пор древнейший в мире образец драматического текста.

²³ Подобное соединение двух разных божеств в одного, обладающего чертами обоих богов (в данном случае Гора и Пта) был в Египте вполне возможен из-за религиозного синкретизма. Соединив Пта с Гором, создатели текста тем самым приписали Пта весь мифологический цикл о древнейшем божестве — Горе.

²⁴ Н. J u n k e r, Die politische Lehre von Memphis, «Abh. der Preuss. akad. der Wissenschaften», Berlin, 1941.

Содержание драматической части, которая является своеобразной компиляцией исторических данных и мифа об Осирисе и Горе, такова:

Геб, старейшина богов, собрал божественную эннеаду для разбора претензий Гора и Сета на владение Египтом. Он посадил Сета царем Верхнего Египта в Sw, в районе, где тот был рожден, а Гора царем Нижнего Египта в Psš — tẓwy, в районе, где был утоплен его отец Осирис. Так Гор стал во главе одного государства, а Сет — другого. Тогда Геб стал сожалеть, что наследство Сета было равным наследству Гора — ведь Гор был единственным сыном его (Геба) первородного сына Осириса. Он совсем отстранил Сета от трона и оба царства передал Гору. Гор стал единоличным властителем Египта в своем великом имени Пта-Татенен, который находится «южнее своей стены».²⁵ Папирус и камыш были принесены на двойные ворота «дома Пта» (т. е. храма Пта)²⁶.

Затем в тексте очень большая лакуна, после которой начинается рассказ о гибели Осириса. Текст настолько поврежден, что восстановление единой сюжетной линии практически невозможно. Разговор идет о том, как утонул Осирис, как оплакивали его Исида и Нефтида и как приказал им Гор восстановить тело Осириса. После этого мы узнаем, что Исида и Нефтида восстановили тело Осириса и принесли его в Мемфис, в храм Пта, где его сын Гор царствовал как единоличный властитель объединенного Египта.

Далее, из отдельных сохранившихся слов можно заключить, что разговор идет о строительстве столицы. Не-

²⁵ «Южнее своей стены» (или «южнее его стены»?) — так описывается в текстах местонахождение храма Пта в Мемфисе. Наверно храм располагался в южной части города или южнее города, за чертой городской стены.

²⁶ Папирус и камыш — символы Верхнего и Нижнего Египта; двойные ворота олицетворяют также два объединенных царства. Вся эта символика означает, что борьбе Сета и Гора пришел конец, что Сет примирился с мыслью о воссоединении царства под эгидой Гора и что это воссоединение произошло в Мемфисе. Подобная двойственность в символике власти сохранилась в Египте до конца его существования — например, фараон носил двойную корону (объединенную Верхнего и Нижнего Египта), корону одновременно украшали кобра и гриф — символы обоих царств и т. д.

сколько раз упоминается слово «стена», из чего следует, что речь идет о Мемфисе. После этого, со строки 48 начинается теологическая часть, которая в данный момент остается за пределами наших интересов, и последние три строки (62—64) снова возвращают нас к теме Осириса.

Для лучшего понимания сюжета этого драматического текста небезынтересно будет короткое отступление в области древнейшей истории Египта, задолго до его политического объединения в 3000 г. до н. э.

В четвертом тысячелетии до н. э. на территории будущего Египта было множество маленьких городов-государств, изолированность которых усугублялась специфическими географическими условиями местности. Однако постепенно сформировался первый союз египетских номов в восточной Дельте. В текстах пирамид упоминается 'nḏty из девятого нижеегипетского нома, который назван «предводителем восточных номов»²⁷. Богом-покровителем девятого нома был Осирис. Примерно в то же время царьки третьего нома (западная Дельта), богом-покровителем которого являлся Гор, смогли объединить номы западной Дельты. Постепенно более отсталые южные номы тоже объединились в единый союз. Это сумели сделать царьки пятого вышеегипетского нома под эгидой своего бога-покровителя Сета. Так, где-то в середине четвертого тысячелетия до н. э. было сформировано три союза египетских номов — государства Осириса, Гора и Сета. Примерно в это же время царькам «государства Гора», или «служителям Гора»²⁸ удалось подчинить себе два других египетских государства. Так возникло первое, так наз. «доисторическое» объединение Египта под предводительством севера. Центром этого объединения был древнейший город западной Дельты Иуну (Гелиополь). Этот союз продержался недолго и вскоре распался на два царства — южное и северное. Однако несмотря на кратковременность этого союза, культура развитого севера успела прижиться на отсталом юге настолько, что Сет был изгнан со своего

²⁷ Н. J u n k e r, Die politische Lehre... , с. 56.

²⁸ Так их называет К. Зете из-за того, что Гор был их верховным богом (Beiträge zu älteste Geschichte Ägyptens... с. 2—22).

божественного трона и его место занял Гор. Раскопки в районах Маади, Тархан, Абусир-эль-Мелек и др. дают представление о более развитом севере, культура которого постепенно проникает на отсталый юг и становится там доминирующей.

Следовательно, непосредственно перед историческим объединением Египта существовало два египетских царства — верхнеегипетское и нижнеегипетское царства Гора, фараоны которых считали себя «служителями Гора». Когда южные фараоны объявили северу войну, закончившуюся окончательной победой юга и объединением Египта, то воевали они под эгидой Гора²⁹.

Из вышесказанного становится ясным, как создатели этой древнейшей драмы постарались воспроизвести исторические события, придав им нужную для себя политическую окраску. Надо отдать должное древним авторам, сумевшим так остроумно «скомбинировать» исторические события с мифическими.

Следует отметить, что текст был очень поврежден уже к моменту перенесения его на гранитную плиту. Из первых строк надписи (строки 1—2) мы узнаем, что «Его величество Шабак приказал своим писцам перенести на гранитную плиту эту книгу древности, т. к. она была изъедена червями, истлела и стала совершенно непригодной для чтения, к тому же потеряла начало и конец». При таких обстоятельствах совершенно естественным звучит заявление Эрмана, что «хотя дошедшая до нас гранитная плита очень повреждена и большая часть текста утеряна, что очень осложняет его интерпретацию и перевод, однако мне кажутся более плачевными потери, которые текст понес во время перенесения его на гранитную плиту писцами Шабак»³⁰.

Действительно, текст, написанный на языке, успевшем уже ко времени XXV династии стать архаическим и малопонятным, писцы переносили на плиту почти механически,

²⁹ Н. Junker, Die politische Lehre... с. 56—57; S. Meuser, The Religion of Ancient Egypt, London, 1969, с. 1—7.

³⁰ А. Erman, Ein Denkmal memphitischer Theologie, «Sitzungsberichte der Königl. Preuss. Akad. der Wissenschaften», Berlin, 1909, с. 918.

смутно догадываясь о его содержании и если допустить (а это вполне реально), что истлевший папирус был раздроблен на несколько частей, то вряд ли писцы расположили их в должном порядке — не говоря о том, что начало и конец были и вовсе утеряны.

ных народов»¹⁶. Разложение родового строя и развитие классового общества Энгельс рассматривал «на трех отдельных крупных примерах греков, римлян и германцев»¹⁷ (у кельтов рассмотрена лишь родовая организация). А эти народы, особенно греки и римляне, по Энгельсу, непосредственно перешли от родового строя к цивилизации.

Разложение родового строя и формирование классового общества в греко-римском мире происходили по другому, чем на древнем Востоке. Также отличался этот путь у германцев. Если в античных странах высокое развитие товарного хозяйства, — отделение ремесла (в городской форме, а не в рамках сельских общин) от сельского хозяйства, от последних торговли, — разложило родовое общество, в результате чего развились классы рабовладельцев и рабов, возникло государство — в развитой форме, форме республики и т. д., то у германцев дифференциация ремесла и торговли от сельского хозяйства имела незначительные размеры, следствием чего новая социальная структура и государство имели другой характер.

В связи с развитием рабства в «Происхождении» встречается одно место, что В. В. Струве и его сторонники восприняли как теоретическую основу универсального распространения этого социального института, а именно: «Из первого крупного общественного разделения труда возникло и первое крупное разделение общества на два класса — господ и рабов, эксплуататоров и эксплуатируемых»¹⁸. Но это высказывание нельзя широко обобщить; на средней ступени варварства, о чем идет здесь речь, замечаются лишь зачатки рабства. Двумя страницами позже читаем: «...рабство, на предыдущей ступени развития только возникавшее и носившее

¹⁶ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 21, стр. 130. В труде Энгельс упоминал некоторые отсталые народы Азии. В другом месте (письмо Каутскому от 10 февраля 1883 года) говорится о родовом строе у финикийцев, вавилонян, индийцев.

¹⁷ Стр. 156. см. также с. 169. Легко понять, что смысл этих утверждений можно понять лишь с точки зрения истории Европы.

¹⁸ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 21, с. 161.

спорадический характер»¹⁹. Высший предел развиваемой здесь мысли мы встречаем в высказывании: «С появлением рабства, достигшего при цивилизации своего наивысшего развития, произошло первое крупное разделение общества на эксплуатирующий и эксплуатируемый классы. Это разделение продолжало существовать в течение всего периода цивилизации. Рабство — первая форма эксплуатации, присущая античному миру»²⁰. И наконец, в книге Энгельс различал «античную форму рабского труда» и «восточное домашнее рабство»²¹.

Заканчивая анализ «Происхождения», мы еще раз подчеркиваем, что возникновение семьи (моногамной), частной собственности (на землю) и государства (в высшей, демократической форме) в книге рассматривается лишь с точки зрения истории Западной Европы, тем самым здесь дается опыт истории Западной Европы. Перенесение сделанных в книге выводов на историю древней Азии, их универсализация глубоко ошибочна не только с точки зрения фактов, но и с точки зрения истории мысли (включая, разумеется, «Происхождение» Энгельса)²².

¹⁹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 21, с. 163.

²⁰ С. 175. Кажется излишним утверждать, что под «античным миром» Энгельс, как и Маркс, мыслил лишь греко-римский мир. Соответственно сказанному, Энгельс писал: «...античное государство было, прежде всего, государством рабовладельцев для подавления рабов», с. 171.

²¹ с. 155.

²² По мнению В. Н. Никифорова, В. И. Ленин при осмыслении проблемы докапиталистических формаций исходил непосредственно из «Происхождения» как конечного итога изучения данной проблемы. Он категорически заявляет: «В произведениях В. И. Ленина нет ни одного упоминания — от собственного имени автора — категории азиатского способа производства». См. Восток и всемирная история, с. 168. При объективном подходе к вопросу смысл этого заявления становится ошибочным. Об этом см. В. Г. Попов, В. И. Ленин об азиатском способе производства, в книге: — «Вопросы исторического материализма и критика некоторых концепций буржуазной социологии», М., 1969; нашу статью «В. И. Ленин о возникновении классов и государства» (на груз. яз.), «Мнатоби», 1969, № 12; Sur les sociétés précapitalistes. Textes choisis de Marx, Engels, Lénine, P., 1973, p. 410—414.

В 1885 году в предисловии второго издания «Анти-Дюринга» Энгельс отмечал, что он хотел бы изменить историю первобытного общества, поскольку, в период написания и опубликования книги, открытия Моргана были ему неизвестны. Но постольку, продолжал Энгельс, он имел случай использовать новый исторический материал в «Происхождении», он довольствуется лишь указанием на последнюю книгу. Но отмеченное касается лишь ступени родового строя первобытности, а никак не концепции восточного общества, развиваемой в «Анти-Дюринге». Ее фундаментальные положения не были ни развиты в «Происхождении», ни устранены из «Анти-Дюринга».

В энгельсовском труде «Людвиг Фейербах и конец классической немецкой философии» (написан в начале 1886 года) процесс возникновения государства передается таким же образом как в «Анти-Дюринге». Здесь государство представлено как первая (в смысле времени его возникновения) идеологическая сила (поскольку олицетворяющие его лица не осознают обусловленности политического строя экономическим бытием общества). В его лице общество создает орган для защиты своих общих интересов. Возникнув, государство получает самостоятельность по отношению к обществу и тем больше отчуждается от последнего, чем больше оно становится органом, выражающим интересы одного класса. Во всяком случае, ясно, что возникновение государства в труде не связывается с господствующим классом²³.

В письме К. Шмидту (от 27 октября 1890 г.) возникновение и формирование государства объясняется опять-таки необходимостью выполнения общих интересов общества. Возникнув на такой основе, представители государства становятся независимыми по отношению к обществу. Вместе с тем это отчуждение от общества Энгельс объяснял не только появлением господствующего класса.

Оба приведенных примера отражают древневосточную реальность. В античном мире, по крайней мере в нормаль-

²³ В «Происхождении» этот сюжет затронут, но не развит. См.: К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 21, с. 164—165.

ных условиях, такая ситуация исключалась: государство здесь представляло дело самих же граждан.

В 1887 году в предисловии к американскому изданию своей книги «Положение рабочего класса в Англии» Энгельс писал: «В азиатской и классической древности преобладающей формой классового угнетения было рабство, то есть не столько экспроприация земли у масс, сколько присвоение их личности»²⁴. Данную цитату сторонники пятичленной схемы эволюции общества рассматривают как доказательство того, что рабовладельческое общество Энгельс считал существующим и на древнем Востоке. Такое заключение нам кажется так же ошибочным, как в случае утверждения рабовладельческой классовой структуры на средней ступени варварства (см. выше). Приведенная цитата подразумевает другое, а именно: эксплуатация крестьян-общинников государством не была классовой (отличная от «Анти-Дюринга» мысль), поскольку верховным земельным собственником Энгельс, как и Маркс, с 80-х годов начал считать сельскую общину, а не государство как прежде. Тем самым из формы чисто классовой эксплуатации на древнем Востоке преобладало рабство. Но сказанное никак не означает превращение рабства в способ производства, его развитие в классическую форму и на Востоке. При господстве сельско-общинной земельной собственности, сращенности большинства крестьянских масс с землей, становление рабства способом производства на Востоке исключалось. Понять это в контексте теоретического наследия Маркса и Энгельса не представляет трудности.

Сказанное можно прояснить и следующей мыслью Энгельса, которую мы встречаем в письме Н. Даниельсону (от 10 июня 1890 года). Здесь Энгельс отмечает что земельный налог, выплачиваемый индийским райятом государству, англичане превратили в «ренту», в результате чего, во всяком случае в Бенгалии, земиндар (сборщик налогов в пользу падишаха) превратили в «лендлорда». Думаем, что ясен вопрос о том, что прежние мысли Энгельса и Маркса об Индии, как классическом восточном обществе не претерпели ра-

²⁴ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 21, с. 348—349.

дикальные изменения и в последний период их творчества. Изменение наблюдается в другом: если прежде Маркс, согласно сложившейся в политэкономии традиции, утверждал совпадение ренты с налогом в Азии, то в дальнейшем Энгельс снял это положение. Это надо понять так: рента предполагает реализацию права собственника на собственность (в данном случае на землю), тем самым совпадение ренты с налогом должно было иметь место лишь при господстве государственной собственности. По позднейшему же взгляду Энгельса, в Азии верховным земельным собственником было не государство, а сельская община (в «Анти-Дюринге» по этому вопросу автор занимал колеблющуюся позицию), таким образом, прибавочный продукт, изымаемый с крестьян-общинников, представлял только налог.

В примечании английского издания (в 1888 году) «Манифеста Коммунистической партии» Энгельс подчеркивал, что общинная земельная собственность была исходным пунктом в развитии германских народов. Она, соответственно сельская община, существовала и существует (sic!) как первобытная форма общества от Индии до Ирландии. В предисловии того же издания говорится, что история является историей классовой борьбы по разложению общинного землевладения²⁵. Ту же самую мысль мы встречаем в послесловии труда «О социальном вопросе в России» (написан в начале 1894 года), где отмечается, что общинная собственность на землю первоначально была общей у всех индоевропейских народов, в большинстве же случаев она разложилась (разумеется, с точки зрения этой группы народов), в Германии же осталась в виде пережитка, а в Индии существует и поныне²⁶.

В труде «К истории первоначального христианства» (написан в 1894 году) отмечено резкое различие последствий социальных движений на Западе (в Западной Европе) и мусульманском Востоке. Если в Западной Европе классовая борьба, проходившая под религиозной оболочкой, двигала общество вперед, то на Востоке даже в случае победы угнетенных (здесь противоборствовали бедуины и феллахи)

²⁵ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 4, с. 424.

²⁶ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 22, с. 438.

экономические и социальные условия общества оставались в неизменном виде²⁷. Таким образом, имела место повторяемость в истории этого региона. И это обстоятельство, думаем, наглядно иллюстрирует резкое различие Энгельсом минувших исторических судеб Западной Европы и Востока.

Наконец, отметим и то, что ни в издании II тома, ни в издании III тома «Капитала» Энгельс ни разу не скорректировал марксовские мысли о восточном обществе.

Таким образом, суммируя содержание нашей статьи мы приходим к выводам о том, что 1) мысли Маркса и Энгельса о специфической сущности восточного общества остались прежними и по ознакомлении с теорией Моргана о родовой организации²⁸; 2) в «Происхождении семьи, частной собственности и государства» возникновение данных социальных и политических институтов Энгельс рассматривал лишь на историческом материале Западной Европы; 3) ошибочно говорить, что в 80-х годах прошлого столетия Энгельс резко изменил свои прежние взгляды на восточное общество и тем самым противопоставить его Марксу; 4) неправильно утверждать (как это делал Плеханов), что начиная с 80-х годов классики материалистического понимания истории начали рассматривать восточное и античное общества как параллельно сосуществующие; таковыми они были лишь синхронно, в логическом же смысле восточное общество было не параллельным, а низшим по отношению к античному²⁹; 5) изменения взглядов классиков на восточное общество заключались в другом: данное общество ими стало рассматриваться как бесклассовое, стоящее на последнем этапе «первичной», «архаической» формации, с отсутствием или незначительным развитием классовой эксплуатации; был снят (Энгельсом) тезис о совпадении ренты с налогом на Востоке. Все это дает нам право утверждать, что Маркс и Энгельс, вопреки буржуазным ученым, а также сторонникам пятичленной схемы, были далеки от мысли об однолинейном (unilinear) развитии общества.

²⁷ К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 28, с. 468.

²⁸ Г. В. Плеханов верно заметил, что родовой строй был исходным состоянием и восточного и античного обществ. См.: Основные вопросы марксизма, М., 1959, с. 56.


²⁹ Там же.

მანანა ხიდაშელი

ცენტრალური და აღმოსავლეთამიერკავკასიური ბრინჯაოს
სარტყლების მხატვრული სტილის საკითხები

უძველესი ხელოვნების უაღრესად თავისებური ძეგლები, ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები ფართოდ არის გავრცელებული ამიერკავკასიაში. ისინი აღმოჩენილია, როგორც საქართველოში, ასევე ჩრდილოეთ სომხეთსა და დასავლეთ აზერბაიჯანში. საქართველოში აღმოჩენილი ნიმუშების შესწავლას მივუძღვენიot სპეციალური წერილი¹. ამჯერად შევეხებით დღევანდელი ჩრდილო სომხეთისა და დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოპოვებულ სარტყლებს. ქვემოთ ვიძლევიot მათ მოკლე აღწერას.

სარტყელი აღმოჩენილია სევანის მახლობლად, ნორ-ბაი-აზეთში. ინახება სომხეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, ინვ. № 995 (ნახ. 1). სარტყელს გარშემო მოუყვება ვიწრო ჩარჩო. ამ ძეგ-



ნახ. 1. სარტყელი აღმოჩენილი სევანის ტბის მახლობლად.


ლის მთელი სიბრტყე ვერტიკალური ორნამენტული სვეტების საშუალებით დაყოფილია ოთხ კადრად. თითოეული კადრი ორ ფრი-

¹ მ. ხ ი დ ა შ ე ლ ი. საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს სარტყლების მხატვრული სტილის საკითხები. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიკისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1977, № 4.



ზად ორნამენტული ჰორიზონტალური ხაზით; სარტყელზე ვხედავთ ფანტასტიკური ცხოველებისა და ირმების გამოსახულებებს.

სარტყელი აღმოჩენილია სანაინში, ინახება სომხეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, ინვ. 1787 (ნახ. 2). გარშემო მო-



ნახ. 2. სარტყელი სანაინიდან.

უყვება სპირალური ორნამენტის ორი რიგისაგან შემდგარი ჩარჩო. სარტყლის სიბრტყე ოთხი ორნამენტული სვეტის საშუალებით დაყოფილია ხუთ კადრად; სამ ერთმანეთის მსგავს კადრში ჩახატულია სიმეტრიულად ერთმანეთის ზევით გამოხატული ოთხი ცხენის გამოსახულება. დანარჩენი ორი კადრი ამოვსებულია სპირალების ორი რიგით.

სარტყლების სამი ნიმუში შემთხვევით აღმოჩნდა ლჭაშენში. ყველა მათგანი ინახება სომხეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

სარტყელი ინვენტარის № 2115 გარშემო მოუყვება ფართო სპირალური ჩარჩო. ჩარჩოს შიგნით დარჩენილი სივრცე დაყოფილია ოთხ კადრად: კადრები გამოყოფილია ერთმანეთისაგან ორნამენტული ვერტიკალური სვეტებით. სარტყელზე წარმოდგენილია ერთი ტიპის ირმის გამოსახულება.

სარტყელი ინვ. № 2152. ჩარჩოს ქმნის სპირალური ორნამენტის სამი რიგი; სარტყლის ზედაპირი დაყოფილია სამ კადრად. ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილია სამკუთხედებით დაფარული სამი პარალელური სვეტით. სარტყელზე წარმოდგენილია ირმების, ჯიხვებისა და გარეული თხების ფიგურები.

სარტყელი ინვ. № 2153. გადარჩენილია მხოლოდ ერთი დიდი ფრაგმენტი. გარშემო მოუყვება სპირალური ჩარჩო. კომპოზიცია იწყება მარცხენა კუთხეში წარმოდგენილი შიშველი მამაკაცის ფიგურით. მის წინ გამოსახულია ორბორბლიანი ეტლი. ეტლში შებმულია ორი ფანტასტიკური ცხოველი. მათ წინ წარმოდგენილია ორი ფრინველი. ეტლის წინ მეორდება მამაკაცის გამოსახულება, რომლის წინ შემორჩენილია სამი ფანტასტიკური ცხოველის ფრაგმენტი.

ს ა რ ტ ყ ლ ი ს ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი, აღმოჩენილი სევანის ტბის სანაპიროზე, ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ინვ. № 2205. გარშემო მოუყვება სპირალური ორნამენტისაგან შემდგარი ჩარჩო. ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების შეხამება, ვერტიკალუბით კადრების აქცენტირება, როგორც ჩანს, ამ ნიმუშისთვისაც იყო დამახასიათებელი. ფრაგმენტზე შემორჩენილია ორი ვერტიკალურად განლაგებული მშვილდოსანი მონადირის ფიგურა, მათ შორის ორ რიგად განლაგებულია ორი ცხენი. იქვე წარმოდგენილია თევზი და წრეში ჩახატული ვარდული.

სარტყელის ფრაგმენტი აღმოჩენილი ასტალაში უკვე მორგანის მიერ (ნახ. 3) მთელი კომპოზიცია კადრებად არის დაყოფილი ვერტიკალუბით, რომლებსაც ქმნის ადამიანთა მთელი სიმაღლის წარმოდგენილი ფიგურები.

მშვილდოსნის წინ ერთმანეთის თავზე გამოხატულია ორი ცხოველი. პირველ პლანზეა დიდი ზომის ირემი, ხოლო მის უკან ჯიხვის ფიგურაა წარმოდგენილი. მშვილდოსნის უკან ჰორიზონტალურ ხაზზე ორი ცხენის ფიგურაა მოცემული.


სარტყელის მეორე ფრაგმენტი, აღმოჩენილი იქვე უკვე მორგანის მიერ. ფრაგმენტი წარმოგვიდგენს ორთვილიან ეტლს, რომელშიც შებმულია ორი ცხენი. ეტლში ზის ადამიანის ფიგურა, რომელსაც მარცხენა ხელი ზევით აქვს აწეული.

ს ა რ ტ ყ ე ლ ი აღმოჩენილი ასტიბლურის სამაროვანზე. ინახება სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში (ნახ. 4). გარშემო მოუყვება სპირალური ორნამენტისაგან შემდგარი ფართო ჩარჩო. ჩარჩოს შიგნით დარჩენილი სივრცე უჭირავს რთულ სიუჟეტურ კომპოზიციას, რომელიც სიბრტყეზე სიგრძივ არის გაშლილი.

კომპოზიცია იწყება მარჯვენა კუთხეში გამოხატული ირმის ფიგურით, რომლის ფეხებთან გამოხატულია ნუკრი. იქვეა მამაკაცის მთელი სიმაღლით წარმოდგენილი ფიგურა, რომელიც ისარს უმიზნებს ირემს. შემდეგი გამოხატულება წარმოადგენს ორბორბლიან ეტლს, რომელშიც შებმულია უღლით ერთმანეთთან დაკავშირებული ოთხი ცხენი. ეტლზე დგას შიშველი ქალი, რომელსაც ხელში უჭირავს ციური მნათობი. იქვეა ფრინველი. ეს ჯგუფი შემდეგი კადრისაგან გამოყოფილია მთელი სიმაღლით წარმოდგენილი მონადირის ვერტიკალური ფიგურით. შემდეგი კადრი წარმოგვიდგენს ოთხ ცხენს, ორ მათგანზე მამაკაცის ფიგურებია ამხედრებული. ეს




ნახ. 3. სარტყელი აღმოჩენილი ახტალაში.



ნახ. 4. სარტყელი ასტობლურიდან.

ჯგუფი შემდეგი კადრისაგან კვლავ ადამიანის ვერტიკალური ფიგურით არის გამოყოფილი, რომელიც ამჯერად მარჯვნივ იყურებს. მარჯვნივ მიემართება მის წინ გამოსახული ყველა გამოსახულება. შემდეგი კადრი კვლავ წარმოგვიდგენს ეტლს, რომელზედაც ქალის შიშველი ფიგურაა ამხედრებული, იმ განსხვავებით, რომ ქალს ამჯერად ხელში უჭირავს არა ციური მნათობი, არამედ მათრახი. აღარ ჩანს ფრინველი. შემდეგ კვლავ ვხედავთ მონადირის ვერტიკალურ ფიგურას, მის წინ გამოსახულ ორ ცხენს და კვლავ მონადირეს. სარ-



ნახ. 5. სარტყელი აპპატიდან.

ტყლის უკანასკნელი კადრი იმეორებს ეტლისა და შიშველი ქალის კომპოზიციას. უკანასკნელი გამოსახულებაა მაღალრქიანი ირემი, მას მოხვედრილი აქვს მონადირის მიერ ნასროლი ისარი. ირმის ფეხებთან ნუკრი აღარ ჩანს.

სარტყელი აღმოჩენილი ლორი — პამბაკის რაიონში, აპპატის სამაროვანზე (ნახ. 5). ინახება სომხეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. ინვ. № 1309. შემორჩენილია ერთი ფრაგმენტი. ჩარჩო შექმნილია პარალელური ხაზებითა და თევზიფხური ორნამენტით. სარტყლის ცენტრში, მთელ სიგრძეზე გავლებულია ჰორიზონტალური ზოლი, რომელიც სარტყლის მთელ ზედაპირს სამ ჰორიზონტალურ ფრიზად ყოფს. ზედა ფრიზზე, ცენტრში მოცემულია ერთი ირმის გამოსახულება, შუა ფრიზზე ერთმანეთის უკან განლაგებულია პირით მარჯვნივ მიმართული ხუთი ირემი. ქვედა ფრიზის



ცენტრში კვლავ ერთი ირემია მოცემული. სარტყელზე წარმოდგენილი ირემის ფიგურები გამოირჩევიან ძლიერი სტილიზაციითა და სქემატურობით.

ჩვევა აღმოჩენილი მეორე სარტყლის ფრაგმენტი. ინვ. № 1309. გარშემო მოუყვება სპირალური ორნამენტი. ჩარჩოს შიგნით დარჩენილი არე შუაზე გაყოფილია ფართო ვერტიკალური სპირალური სახეებით დაფარული სვეტით; ამ სვეტის მარცხენა მხარეს მოქცეულ სიბრტყეზე დიაგონალურად გავლებულია ფართო ორნამენტული ზოლი. ამ დიაგონალზე გამოსახულია უკანთავშემობრუნებული მაღალრქიანი ირემის სქემატური ფიგურა. სვეტის მარჯვნივ მოქცეული არე შუაზეა გაყოფილი ფართო ჰორიზონტალური არე-შით, რომლის ქვედა ფრიზზე ასეთივე სქემატური ირემის ფიგურა იყო მოცემული.


სარტყლების საინტერესო ნიმუშები აღმოჩნდა ალავერდის რაიონში, ტაკიას სამაროვანზე. ისინი ინახება სომხეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. ინვ. № 186 (46—49) სამი სარტყელი სადაა, მეოთხე ორნამენტირებული. მისი ორი ფრაგმენტია შემორჩენილი; ერთზე გამოსახულია თევზიფხური ორნამენტის ვიწრო ზოლი, მეორეზე პუნქტირით არის შესრულებული ირემის გამოსახულება. მეხუთე სარტყლის ფრაგმენტი წარმოგვიდგენს ლომისა და ირემის ფიგურებს.

სარტყელი აღმოჩენილი ტაზაკენტში ინახება ქ. ერევნის ისტორიის მუზეუმში. ჩარჩოს ქმნის თევზიფხური ორნამენტის ორი ზოლი, რომელთა შორის ჩახატულია დაშტრიხული სამკუთხედები. შესაკრავთან გამოხატულია სამკუთხედის ფორმის მოსართავი. სარტყლის ცენტრში თევზიფხური ორნამენტის საშუალებით შექმნილია მოგობო ფრიზი, რომელშიაც ჩახატულია ოთხი ცხოველის სქემატური გამოსახულება. ფრიზის ქვევით ჩვენ ვხედავთ ერთი ცხოველის სქემატურ ფიგურას. მარცხენა კუთხეში გამოსახულია სიცოცხლის ხე. ქვედა ფრიზზე წარმოდგენილია ურთიერთგადამკვეთი სწორი ხაზებით შექმნილი ადამიანის მეტად სქემატური გამოსახულება.

სარტყელი აღმოჩენილი სტეფანავანში. ინახება სომხეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, ინვ. № 2613. შემორჩენილია მხოლოდ სამი დიდი ფრაგმენტი. ჩარჩოს ქმნის თევზიფხური ორნამენტით შესრულებული ოთხი ჰორიზონტალური ხაზი. შესაკრავთან გამოსახულია დიდი სამკუთხედები.

სართყელზე წარმოდგენილია სიუჟეტური კომპოზიცია, რომელიც ბატალურ სცენას უნდა ასახავდეს. გამოსახულებანი სიბრტყეზე სართყლისებრად არიან განლაგებული. კომპოზიციის წამყვანი ელემენტებია მხედრები და ფეხოსნები. აქვეა წარმოდგენილი ფართა და მახვილით შეიარაღებული დიდი ზომის ფიგურა. კომპოზიციაში გამოსახულია აგრეთვე დიდი ორბორბლიანი საბრძოლო ეტლი, რომელშიც სამი ცხენია შებმული. აქვეა ორბორბლიანი საბრძოლო ურემი. კომპოზიციის აზრობრივ ცენტრს დიდი ზომის შეიარაღებული ადამიანის ფიგურა წარმოადგენს. მისკენ მიემართება კომპოზიციაში წარმოდგენილი ყველა ფიგურა.


სართყლების მეტად საინტერესო ნიმუშები აღმოჩენილია დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ისინი პირველად აღმოჩნდა გასული საუკუნის დასასრულს, ქედაბეკის რაიონში ა. ბელკის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად. სართყლების საინტერესო ნიმუშები მოიპოვა აგრეთვე ა. რესლერმა ხოჯალიში. მოპოვებული მასალა გადაიტანეს ბერლინში. ამ სართყლების შესწავლას სპეციალური წერილი უძღვნა რ. ვირხომმა. ქვემოთ ვიძლევი მათ მოკლე აღწერას.



ნახ. 6. სართყელი ქედაბეკიდან.

ს ა რ ტ ყ ე ლ ი აღმოჩენილი ქედაბეკში 1889 წ. (ნახ. 6). გარშემო მოუყვება სპირალური ორნამენტის ჩარჩო. ჩარჩოს შიგნით დარჩენილი არე უჭირავს ერთი მხრივ მიმართული ირმების პროცესიას. ირმის ყველა ფიგურა ერთგვაროვანია. განსხვავებულად არის შესრულებული მხოლოდ რქები — ზოგიერთი მათგანის რქები ძლიერ დატოტვილია, ხოლო რიგ შემთხვევაში ირმის რქის მთავარი ღერო შემკულია სამკუთხედებით.

ს ა რ ტ ყ ე ლ ი აღმოჩენილი ქედაბეკში 1890 წ. გარშემო მოუყვება საშუალო სიდიდის ჩარჩო, შექმნილი სპირალური სახეებითა და სამკუთხედებით. ჩარჩოს შიგნით დარჩენილი სივრცე მაქსიმალურადაა ამოვსებული ცხოველთა გამოსახულებებით. კომპოზიციის მთავარი ელემენტებია ირმები, ცხენები, გველები, ფრინველები და სხვადასხვა გეომეტრიული სახეები. ცხოველთა სხეულის ნაწილები ისე ავსებენ ერთმანეთს, რომ სარტყლის ზედაპირზე თავისუფალი არე თითქმის არ გვხვდება (ნახ. 7).



ნახ. 7. სარტყელი ქედაბეკიდან.

ს ა რ ტ ყ ლ ი ს ფრაგმენტი, აღმოჩენილი ქედაბეკში 1890 წ. გარშემო მოუყვება სპირალური ორნამენტის ჩარჩო. შესაკრავთან კომპოზიცია ჩაკეტილია ვერტიკალურად წარმოდგენილი ფიგურებით, ისინი წარმოგვიდგენენ ადამიანს და ერთმანეთის თავზე გამოსახულ ირმებს. შემდეგ კი ჩვენ ვხედავთ სარტყლებისათვის ტრადიციულ კომპოზიციას, ერთმანეთის თავზე გამოსახულ სამ ცხენს. სარტყლის ცენტრალური ნაწილი იმეორებს წინა ნიმუშისათვის დამახასიათებელ კომპოზიციას, სადაც სივრცე მთლიანად არის ამოვსებული ფანტასტიკური ცხოველებით.

ს ა რ ტ ყ ლ ი ს ფრაგმენტი აღმოჩენილი ქედაბეკში. აქ წარმოდგენილია ერთმანეთის თავზე განლაგებული სამი ფანტასტიკური

ფრინველი, ხოლო კომპოზიციის დანარჩენ ნაწილში კვლავ იგრძნობა იმპროვიზაცია ცხოველთა განლაგებაში. (ნახ. 8).




ნახ. 8. სარტყლის ფრაგმენტი ქედაბეკიდან.

სარტყელი აღმოჩენილი კალაქენტში. გარშემო მოუყვება ვიწრო ჩარჩო. ჩარჩოს შიგნითა არე უჭირავს სქემატური ცხოველების ორ რიგად განლაგებულ პროცესიას (ნახ. 9).

სარტყელი აღმოჩენილი ხოჯალიში, 1895 წ. ფრაგმენტზე წარმოდგენილია ორი ფანტასტიკური ცხენი. მათ ფეხებთან მოცემულია გველის გამოსახულება. გარშემო განლაგებულია ციური მნათობები და გეომეტრიული სხეულები.


სარტყელი აღმოჩენილი ქედაბეკში ა. ივანოვსკის მიერ, ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, ინვ. № 47713. გარშემო მოუყვება ფართო ორნამენტული არშია. თავისუფალი რჩება ვიწრო ზოლი, რომელშიც ერთ მწკრივად სიმეტრიულად არის განლაგებული ხუთი ფანტასტიკური ცხოველი. მათ შორის გამოიყოფა ორი ტიპი — ფანტასტიკური ლომისებრი და ჯიხვისებრი ცხოველი.

სარტყელი აღმოჩენილი ხაჩბულაკში, გარშემო მოუყვება სპირალური ორნამენტული არშია. ჩარჩოს შიგნით ჩასმულია სიუჟეტური კომპოზიცია. აქ ჩვენ ვხედავთ ორ რიგად განლაგებულ ფანტასტიკურ ხარებს. აქვეა ორბორბლიანი ეტლი, რომელშიც შებმულია ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ცხენი. გამოსახულები




ნახ. 9. სარტყელი აღმოჩენილი კალაენტში.

26.1



ნახ. 10. სარტყელი აღმოჩენილი ხაჩბულაკში.



ნახ. 11. სარტყელი აღმოჩენილი ყარაბაღში.



ნახ. 12. სარტყელი მიწეჩაუბრიდან.



ნახ. 13. სარტყელი აღმოჩენილი ჩაბარუხში.

ბათა ჰორიზონტალური რიგი აქცენტირებულია ვერტიკალებით რომლებსაც ქმნის მაღალრქიანი ირმები და მამაკაცთა მთელი სიმალლით წარმოდგენილი ფიგურები (ნახ. 10).

სარტყელი აღმოჩენილი ყარაბაღში, ინახება სახელმწიფო ერმიტაჟში (ინვ. № 1836). (ნახ. 11). საერთო ხასიათით სარტყელი დეკორატიულია. გარშემო მოუყვება ჩარჩო, რომელსაც ქმნის ორი ჰორიზონტალური ხაზი შიგ ჩახატული ნახევარწრეებითა და სამკუთხედებით. სარტყლის ცენტრი გამოყოფილია ფართო სპირალური სახეებით დაფარული არშიით. შესაკრავთან იქმნება რომბისებრი სახე. სარტყელზე იქმნება გამოსახულებათა ორი ფრიზი. ისინი კადრებად არის დაყოფილი ორნამენტული ვერტიკალებით. თითოეულ კადრში მოცემულია ოთხი სხვადასხვა სახის ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულება. ორივე ხაზზე, ერთმანეთის ზევით, ჩვენ ერთი და იგივე ცხოველის გამოსახულებას ვხედავთ.

ბრინჯაოს სარტყლების რამდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მინგეჩაურის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. სარტყლის ფრაგმენტი ინახება აზერბაიჯანის ისტორიულ მუზეუმში ინვ № 2416. გარშემო მოუყვება საკმაოდ განიერი ჩარჩო, რომლის ორნამენტი ტეხილი ხაზებით არის შედგენილი. ფანტასტიკური ცხენები განლაგებულია ერთ ხაზზე, მაგრამ ისინი ერთი მიმართულებით კი არ მიემართებიან, არამედ განლაგებულნი არიან წყვილ-წყვილად და ერთმანეთისაკენ პირით არიან მიმართულნი (ნახ. 12).

ამიერკავკასიაში მოპოვებული სარტყლები ზოგადად ერთგვაროვანია. ყველა მათგანი წარმოადგენს წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის ბრინჯაოს თხელ ფირფიტას, რომლის ბოლოები კუთხეებში ოღნავ მომრგვალებულია. ყველა მათგანი დამზადებულია ერთი ტექნიკით — ან გრავირებით, ან ერთდროულად გრავირებითა და პუნსონით. ამ ძეგლებზე გადმოცემულია დეკორატიულად გადაწყვეტილი, გარკვეული სიუჟეტის მქონე კომპოზიციები.

ამ ძეგლებზე დეკორის აგებასა და მხატვრულ გადაწყვეტაში მთელი რიგი სიახლეები იჩენს თავს. ოსტატის წინაშე დგას იმ დროისათვის საკმაოდ რთული ამოცანა, რომელიც გულისხმობს სიბრტყეზე ადამიანთა და ცხოველთა განლაგებას, სიბრტყეზე ფიგურათა განაწილებას, გარკვეული კანონზომიერების, სიმეტრიისა და რიტმის ელემენტების დაცვას.

სარტყლებზე წარმოდგენილი ყველა კომპოზიცია გარკვეული კანონზომიერებით არის აგებული და სავსებით მოწესრიგებულია.

კომპოზიციის აგების ძირითადი პრინციპებისა და ნიშნების მიხედვით გამოვყავით სიუჟეტური კომპოზიციების შემცველი სარტყლების ხუთი ჯგუფი.


სარტყლების პირველ ჯგუფში გაერთიანებულ კომპოზიციებში გამოსახულებანი განაწილებულია ერთ მწკრივად. ზუსტად არის დაცული მეტრის ელემენტი რიტმში, რაც ერთი და იმავე მოტივის რიტმულ განმეორებას მოითხოვს. კომპოზიციაში ზუსტადაა დაცული სივრცობრივი პაუზები. თითოეული გამოსახულება წარმოადგენს ერთ განუწყვეტელ რიტმულ ერთეულს. ასეთ შემთხვევაში, სიბრტყეზე ფიგურათა განლაგებაში ხაზგასმული სიმეტრიაა დაცული (სამთავრო სამარხი № 121, 168, ჩაბარუხი სარტყ. № 2, თლი სამარხი № 76 ბელკის მიერ ქედაბეკში და ხოჯალიში აღმოჩენილი სარტყლები, მინგეჩაური. ნახ. 6, 12, 13, 14).

ჩვენი კლასიფიკაციის მეორე ჯგუფში შემავალ სარტყლებზე გამოსახულებანი ფრიზეზად არის განაწილებული. ამ შემთხვევაში ფიგურათა სიმეტრიულ განლაგებას ხაზს უსვამს და აწესრიგებს კომპოზიციის ცენტრში გავლებული ფართე ორნამენტული ზოლი, რომელიც სიბრტყის გაყოფისა და სიბრტყეზე ფიგურების შესაბამისი განაწილებისათვის არის გამოყენებული. სარტყლის ცენტრში გავლებული არშია კომპოზიციას ორ ფრიზად ყოფს; ამ ჯგუფის სარტყლებს უჩნდებათ ახალი მოსართავი, სარტყლის კიდეებში მოთავსებული, წვეროთა ცენტრისაკენ მიმართული სამკუთხედი, სამკუთხედის სოლი ცენტრში გავლებულ არშიას უერთდება. წარმოიქმნება წაკვეთილი ფრონტონის მსგავსი ფორმა, სადაც გამოსახულებანი განლაგებულია კადრის ფორმის ზუსტი გათვალისწინებით (სამთავრო სამარხი № 276, 56, 591, აჰპატი, ტაკია, მუსიერი, ტაზაკენტი სომხეთში და ყარაბაღი აზერბაიჯანში. იხ. ნახ. 5, 11, 15).

მესამე ჯგუფში გაერთიანებულ სარტყლებზე, ცენტრში, კვლავ ვხვდავთ ჰორიზონტალურ არშიას, რომელიც კომპოზიციაში გამოსახულებათა ორ ფრიზს იძლევა; გამოსახულებათა ჰორიზონტალური რიგი ვერტიკალური ორნამენტული სვეტების საშუალებით დაყოფილია კადრებად, რაც დეკორში ორნამენტით დაფარული ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტების თავისებურ შესამებას იძლევა (ყარაბაღი აზერბაიჯანში, სანაინი, ლჭაშენი, ნორ-ბაიზნეთი სომხეთში) თრელი, სამთავრო სამარხი № 281 (ნახ. 1, 2, 16). თრელისა და სამთავროს სარტყლებზე ამ სვეტებს კომპოზიციაში მეორეხარისხოვანი როლი ეთმობა. ისინი აწონასწო-



ნახ. 14. სარტყელი სმოვიდან. (სამაზი № 163).




ნახ. 15. სარტყელი სმოვიდან (სამაზი № 591).

რებენ კომპოზიციას და მოწესრიგებულ სახეს აძლევენ მას. სომხეთის ნიმუშებზე კომპოზიცია მკვეთრად გამოყოფილ კადრებად არის განაწილებული ამ ვერტიკალური სვეტებით. ძლიერად სტილიზებული ცხოველთა გამოსახულებანი მთლიანი ორნამენტის განუყოფელ ნაწილად გვევლინებიან. ამიტომ დეკორში ორნამენტს განსაკუთრებული როლი ეთმობა. უნდა აღინიშნოს, რომ მკვეთრად გამოყოფილ კადრებად დანაწილება მთელ კომპოზიციას ჩაკეტილ სახეს აძლევს, სადაც თითოეული კადრი თითქოს ხელოვნურად ებმის ერთმანეთს.


მეოთხე ჯგუფის სარტყლებზე გამოსახულებანი ორ ფრიზად არიან განაწილებული. მაგრამ ამ ნიმუშებზე ვერ ვხედავთ წინა ჯგუფისათვის დამახასიათებელ სარტყლის ცენტრში გავლებულ ჰორიზონტალურ ზოლს. მეოთხე ჯგუფში ჩვენს მიერ გამოყოფილია ორი ქვეჯგუფი. პირველ ქვეჯგუფში ჰორიზონტალურ ხაზზე ორ რიგად გაშლილი კომპოზიცია თითქოს კადრებად არის დაყოფილი. მაგრამ აქ ცალკეული ჯგუფები ერთმანეთისაგან გამოყოფილია არა სვეტებით, არამედ ადამიანთა მთელი სიმაღლით წარმოდგენილი შვეული ფიგურებით. წინა ჯგუფის სარტყლებისაგან განსხვავებით, აქ კადრებად დანაწილება მიღწეულია არა დეკორით, არამედ მას სახვითი, ფიგურალური ხასიათი აქვს, რის გამოც სარტყლებზე იქმნება უწყვეტი ფრიზი (ასტილიბლური, სევანის ტბა, ახტალა, ლჰაშენი სომხეთში, ხაჩბულადი აზერბაიჯანში, იხ. ნახ. 3, 4, 10).

მეორე ქვეჯგუფში გაერთიანებულ სარტყლებზე გამოსახულებანი ორ ფრიზად არიან განლაგებული. ზოგჯერ ფრიზული განლაგების სიმკაცრე ბოლომდეა დაცული (თლი სამარხი № 224, კალაკენტი ნახ. 9). ზოგიერთ ნიმუშზე კი ფრიზული განლაგების სიმკაცრე დარღვეულია მთელი რიგი ელემენტებით. ჩაბარუხის № 1 სარტყელზე მოცემულია გამოსახულებათა ორი ფრიზი, მაგრამ ცხოველთა სიმეტრიული განლაგების სქემა არაა ბოლომდე დაცული. ხშირად ქვედა რიგში გამოსახული ცხოველის რომელიმე კომპონენტი მაგალითად, რქები ზედა რიგშია შეჭრილი, ერთი მეორის თავზე განლაგებული ცხოველები სხვადასხვა ზომამია მოცემული, რაც, ცხადია, არღვევს სიმეტრიულობის შეგრძნებას, მაგრამ აცოცხლებს დეკორს და ცხოველხატულობას მატებს მას (ჩაბარუხი, № 1, თორილეთი, სტეფანავანის სარტყელი იხ. ნახ. 17).

სხვა ჯგუფებისაგან სრულიად განსხვავებულ, საკუთარი სახის მქონე ვარიანტს ქმნის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოპოვებუ-



ნახ. 16. სარტყელო სპომეტიან (სამარხი № 281)



ნახ. 17. სარტყელო სპომეტიან (სამარხი № 281)

ლი სარტყლების რამდენიმე ნიმუში (ნახ. 7, 8) ჩვენ ისინი მეხუთე
ჯგუფში გავაერთიანეთ; აღნიშნულ სარტყლებზე წარმოდგენილი
კომპოზიციის წამყვანი ელემენტებია ამიერკავკასიის ყველა სარ-
ტყლებისათვის დამახასიათებელი მხატვრული სახეები: ირემი, გვე-
ლი, ცხენი, ფრინველი და გეომეტრიული სახეები ციურმნათობე-
ბისა და ჯერების სახით. მაგრამ სტილისტურად ეს ჯგუფი რიგი
თავისებურებებით გამოირჩევა. სარტყლის ზედაპირი აქ მაქსიმალ-
ურად არის დატვირთული გამოსახულებებით. ცხოველთა სხეუ-
ლის სხვადასხვა ნაწილი ისე ავსებს ერთმანეთს, რომ სიბრტყის
გლუვ ზედაპირზე თავისუფალი არე სრულებით არ რჩება, სივრცო-
ბრივი პაუზები არ ჩანს, რის გამოც სიბრტყე მაქსიმალურად, თით-
ქოს ხალიჩისებრად ივსება. ერთი შეხედვით ფორმის წაკითხვა
თითქოს არ ხერხდება. მაგრამ როდესაც დაუკვირდები, ცხადი ხდე-
ბა, რომ თითოეული გამოსახულება გამოირჩევა საოცარი პლასტი-
ურობით, დინამიურობით. ზოგიერთ ნიმუშზე ჩვენ ვხედავთ სარ-
ტყლებისათვის დამახასიათებელ კომპოზიციისა და თავისუფალი,
თითქოს იმპროვიზირებული ნახატის ერთგვარ შეხამებას, თანაარ-
სებობას. მაგრამ ყველა შემთხვევაში კომპოზიცია ატარებს თავი-
სუფალი იმპროვიზაციის ხასიათს, წარმოგვიდგენს თითქოს „აბ-
სტრაქტულ“ ნახატს, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ინდივი-
დუალური ხასიათი აქვს, რითაც ისინი გამოირჩევიან ყველა სხვა
ჯგუფისაგან².

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ამიერკავკასიაში გავრცელებულ
სარტყლების ყველა ჯგუფს დაახლოებით ერთი და იგივე კომ-
პოზიციური ამოცანები აქვს, მაგრამ ეს ამოცანები სხვადასხვა
ჯგუფში ხშირად განსხვავებულად არის გადაწყვეტილი. სწორედ
ეს აპირობებს მათ შორის არსებულ სტილისტურ სხვაობას, განა-
პირობებს ცალკეული ვარიანტის თავისებურებებს და თითოეულ
ჯგუფს მისთვის დამახასიათებელ სახეს აძლევს.

სარტყელზე გამოსახული ყველა კომპოზიცია დეკორატიულია
თავისი ხასიათით. მაგრამ დეკორატიულობა ამ ძეგლებზე სხვადა-
სხვა ხერხით არის მიღწეული. დეკორატიულობას განსაკუთრებით
უსვამს ხაზს კომპოზიციაში გამოყენებული ორნამენტი. უნდა აღი-

² უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი პრინციპებით აგებული კომპოზიცია დამახა-
სიათებელია ერთი უნიკალური სარტყლისათვის, რომელიც აღმოაჩინა წეროვანში
შ. ირემაშვილმა. სარტყელი ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია, რის გამოც მას ვერ
შეგვხვბით.



ნიშნოს, რომ ორნამენტის სახეები ამიერკავკასიის სარტყლებში ვის საერთოა. ყველაზე გავრცელებული სახეა სპირალი, რომელიც აქ სხვადასხვა ვარიაციას იძლევა. ჩარჩოზე წარმოდგენილია სპირალთა რიგის სხვადასხვა რაოდენობა. იგი ხშირად გართულებულია სხვა სახეებით — თავმოკალტური სამკუთხედებით ან ნახევარწრეებით. ამგვარ სარტყლებზე ჩარჩოს შიგნით დარჩენილი არე მაქსიმალურად არის შევსებული ცხოველთა ფიგურებითა და ორნამენტებით. განსაკუთრებული დეკორატიულობით სომხეთში აღმოჩენილი მესამე ჯგუფის სარტყლები გამოირჩევა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ სიბრტყე კადრებადაა დაყოფილი ორნამენტით დაფარული ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტებით. მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად შესრულების ტექნიკის მაღალი დონისა, ზოგიერთი ნიმუშის დეკორი ერთგვარი სიხისტით გამოირჩევა. ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების მკაცრი შეფარდება დეკორს სიმშრალეს ანიჭებს. ერთმანეთისაგან გამოყოფილი კადრები ჩაკეტილ შთაბეჭდილებას ტოვებს. ისინი თითქოს მექანიკურად ებმიან ერთმანეთს (სანაინი, ლუაშენი, ნორ-ბაიაზეთი).

უნდა აღინიშნოს, რომ სამთავროში მოპოვებული ზოგიერთი ნიმუშის (სამარხი № 56, 23, 591) სტილი განსაკუთრებულ სიახლოეს იჩენს სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებულ და ჩვენს მიერ მეორე ჯგუფში გაერთიანებულ ნიმუშებთან (ნახ. 5, 15). როგორც ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, საერთოა ამ ძეგლების კომპოზიციის აგების ზოგადი სტრუქტურა. ამ ნიმუშებს ახასიათებთ კიდევ ერთი საერთო თავისებურება — კომპოზიციის გამარტივება. ჩარჩოსათვის დამახასიათებელი დინამიკური სპირალური ორნამენტი ადგილს უთმობს გეომეტრიული სახის, სამკუთხედებით შექმნილ მარტივ ორნამენტს. ჩარჩოს ზომა შემცირებულია. შემცირებული სახით არის წარმოდგენილი აგრეთვე გამოსახულებანიც. მათი გამარტივებული ფორმა სქემატურია. პლასტიური ხაზით შემოხაზულია ცხოველთა ზოგადი კონტური. ფორმის დეტალიზაცია სრულებით არ ჩანს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ცხოველთა პოზა საოცრად ცოცხალი და ექსპრესიულია.

ოსტატის სწრაფვა სიბრტყის გამოსახულებებით შევსებისაკენ, რაც ძლიერად იყო დამახასიათებელი სხვა ჯგუფების სარტყლებსათვის, ამ ნიმუშებზე სრულიად არ ჩანს. პირიქით, ამ კომპოზიციებში ფონს დიდი ადგილი ეთმობა. ფართო გლუვ ფონზე მცირე

ზომის ფიგურების განლაგება მთელს ორნამენტულ კომპოზიციას მეტ სიმსუბუქეს ანიჭებს. როგორც გამოსახულებათა გამართივებული ფორმები, ასევე ფიგურათა განაწილებაში შესამჩნევი სიმართივე, ხელს უწყობს გლუვი სიბრტყის ფართო ჩვენებას და აღნიშნული სარტყლების სტილს გარკვეულ სისადავეს ანიჭებს.

დეკორატიულად არის გადაწყვეტილი სარტყლებზე ცხოველთა და ადამიანთა სახეები. ცხოველთა გამოსახულებებს ამიერკავკასიურ სარტყლებზე ერთიანი პრინციპი უდევთ საფუძვლად. სიბრტყეზე ფორმის მოდელირება პირობითია, ხაზოვანი. ცხოველი გრაფიკულად არის შესრულებული, სხეულის კონტურები მკაფიო მეტყველი ხაზებითაა შემოხაზული. თითქმის ყველა ცხოველი გამოირჩევა მაღალი და თხელი პროპორციებით. ცხოველს უმეტესად აქვს ვიწრო წელი, რომელიც მის სხეულს თითქმის ორ ნაწილად ყოფს. ერთი ნაწილია მისი მკერდი, ხოლო მეორე ოდნავ ჰიპერტროფირებული თეძო. ცხოველი თითქმის ყოველთვის მოძრაობაშია მოცემული. ცხოველთა ფიგურების შესრულების მანერის ძირითადი ნიშანია ძლიერი სტილიზაცია, რომელიც სრულდება ერთი ხერხით — ხაზგასმით დეკორატიულად, რაც თითოეულ ფიგურას ორნამენტულ სახეს აძლევს. სტილიზაციის მოდული ესაა ორნამენტს მიმსგავსებული პლასტიური ხაზი. ხშირად ცხოველთა სხეული დაფარულია სხვადასხვა ორნამენტებით ან შტრიხებითა და პუნსონებითაა დამუშავებული. ეს ყველაფერი სიბრტყეზე ფორმის აქცენტირებას იწვევს და გამოჰყოფს ფორმას სიბრტყის გლუვ ზედაპირზე.

განსაკუთრებული პლასტიკურობით გამოირჩევა ნახატი. იგი სუსტად, მაგრამ მაინც იძლევა მოცულობითობის გარკვეულ შეგრძნებას, სადაც ფორმა ან წრეებით, ან წერტილებითა და შტრიხებით არის მოდელირებული. მაგრამ კომპოზიციისაში მოცულობითობის შეგრძნებას მაინც ძირითადად იძლევა ხაზი, რომელიც თავის ორნამენტულ დინებაში დიდი პლასტიკურობით გამოირჩევა. ამავე დროს სიბრტყის აქცენტირება წრეებით და ფორმის პუნსონით დამუშავება დეკორატიული მოდელირების ფუნქციას ასრულებს, გარკვეულად ტვირთავს ზედაპირს, მატებს მას სიმკვრივეს, ანიჭებს თავისებურ ფაქტურასა და მატერიალურობას.

ხაზი უნდა გაეგვას სარტყლების სტილის ერთ თავისებურებას. ძლიერი სტილიზაციის გამო პლასტიკური ელემენტები დეკორატიულ-ორნამენტულ ელემენტებად გარდაიქმნება, რის გამოც მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ვერც ხერხდება. მაგრამ თუ ამ გამოსახუ-



ლებებში დეკორატიულ მხარეს არ მივაქცევთ ყურადღებას, რათა გადმოცემაში ადვილად შევიგრძნობთ გარკვეულ ნატურალიზმს, მხოლოდ და მხოლოდ ამ ჯიშის ცხოველისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების ოსტატურად გადმოცემის უნარს.

შედარებით პრიმიტიულად არის ნაკეთები სარტყლებზე ადამიანთა სახეები. უნდა ითქვას, რომ ადამიანთა გამოსახულებებსაც ერთიანი პრინციპი უდევთ საფუძვლად. თავი ყოველთვის პროფილშია გამოსახული, სხეული გადმოცემულია მოკლე პროპორციებით. ზოგჯერ ჩანს სწრაფვა ფორმის დეტალიზაციისაკენ — აშკარადაა გამოხატული ხელისა და ფეხის თითები. ზოგჯერ ადამიანები გარკვეულ ჩაცმულობაში არიან მოცემულნი. თლის, თრელის, ჩაბარუხის სარტყლებზე გამოხატულ მამაკაცის ფიგურებს წელზე არტყიათ განიერი სარტყელი, აცვიათ ჭკინტიანი ფეხსაცმელი. მათი სამოსი წერტილებით არის ამოვსებული. ღიად არის დარჩენილი მხოლოდ ხელის მტევნები. თლის სარტყლებზე გამოსახული ადამიანის თავი ცხოველის ნიღაბს მოგვაგონებს. აშკარად გამოირჩევა დიდი ნესკარტისებრი ცხვირი და მრგვალი თვალი. თავსა და კისერზე მოკლე შტრიხებით არის გადმოცემული ადამიანის თმები.

უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთში აღმოჩენილ ზოგიერთ ნიმუშზე ადამიანთა გამოსახულებანი უკიდურესად სქემატურია. ადამიანის მთელი ფიგურა მიღებულია X-ის მავვარი ურთიერთგადაკვეთილი ორი ხაზით. ეს ნიშანი უკვე საკმარისია იმისთვის, რომ გადმოგვეცეს ადამიანის მთელი სხეული — ვიწრო წელი, სწორხაზოვანი მხრები, პატარა ზოლი გამოჰყოფს სამოსს, რის გამოც სხეულს სამკუთხედის ფორმა ეძლევა. ამავე ფორმისაა ადამიანის თავიც. ფეხები სწორხაზოვანია. ისინი სწორხაზოვნად აგრძელებენ X-ის ფორმას და მხოლოდ ტერფებთან იხრებიან.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სარტყლებზე საქმე გვაქვს ფორმის სრულიად გარკვეულ მხატვრულ გადაწყვეტასთან. ოსტატი ძლიერი, უწყვეტი, ტალღისებრი ნახატის საშუალებით გადმოგვეცემს რეალურ ფორმას. იგი სიბრტყობრივად აზროვნებს. კომპოზიციის საერთო ხასიათის შექმნაში ძირითად როლს თამაშობს ფიგურის კონტური, რომელიც საოცრად მოქნილი და გამომხატველია. ეს პლასტიური ხაზი მოცულობითობის გარკვეულ შეგრძნებასაც იძლევა, მაშინ როდესაც ფორმის აქცენტირება პუნსონითა და ორნამენტით დეკორატიული მოდელირების ფუნქციას ასრულებს. ამიტომაც კომპოზიციაში წინა პლანზეა წამოწეული სილუეტის ძირი-

თადი გარშემომწერი კონტურის დინებისა და ხაზთა დინამიურობის წარმოდგენა.



ამგვარად, სამხრეთ ამიერკავკასიაში აღმოჩენილი ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები გამოირჩევიან ფუნქციონალური, მხატვრულ-დეკორატიული და სტილისტური ერთიანობით. ყველაფერი ეს კი გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ერთ მხატვრულ ფენომენთან, რომელიც საერთოა ყველა კულტურული ცენტრისათვის. ამ ძეგლებს შორის არსებული განსხვავება დასტურდება არა რეგიონებს შორის, არამედ ერთი და იგივე რეგიონის შიგნით. სარტყლების სხვადასხვა ჯგუფს შორის არსებული სხვაობა არ სცილდება საერთო, ერთიანი სტილის ფარგლებს, ერთი და იმავე მხატვრული ფენომენის ვარიაციებს წარმოადგენს და ერთი და იგივე მხატვრული სტილის ვარიანტებად გვევლინება.

მ. შ. ХИДАШЕЛИ

ВОПРОСЫ ХУДОЖЕСТВЕННОГО СТИЛЯ ПОЯСОВ ЦЕНТРАЛЬНОГО И ВОСТОЧНОГО ЗАКАВКАЗЬЯ

Резюме

Бронзовые гравированные пояса широко распространены по всему Восточному Закавказью.

В данной статье публикуются пояса, покрытые многофигурными сюжетными композициями, обнаруженные на территории пограничных с Грузией районов Северной Армении и Западного Азербайджана.

Поскольку обнаруженные в Восточной Грузии пояса уже опубликованы нами¹, в данной статье дается попытка общей классификации всех поясов Восточного Закавказья. Общим для всех поясов является наличие орнаментальной каймы, окружающей изображения животных и людей. Декор строится

¹ М. Ш. Х и д а ш е л и, Некоторые вопросы художественного стиля бронзовых поясов, обнаруженных в Грузии. «Мацне», Серия истории, 1977, № 4.

по-разному. В основу нашей классификации кладется принцип композиционного построения декора. Нами выделено пять основных групп поясов.

К первой группе относятся те экземпляры, на которых изображения распределены в одну линию, строго соблюдается элемент метра в ритме, требующий ритмичного повторения одного и того же мотива; в этом случае композиция строго симметрична (Самтавро, погр. № 121, 23, 168, Чабарухи пояс № 2, Тли погр. № 76 в Грузии, пояса, обнаруженные Бельком в Кедабеке и Ходжали, Мингечаурский и Карабахский пояса в Азербайджане (рис. 6, 12, 13, 14).

Во второй группе изображения распределены отдельными фризами, подчеркнутыми орнаментальными горизонтальными линиями, разделяющими плоскость на отдельные фризы (Самтавро, погр. 276, 56, 591 в Грузии, Ахнат, Такия и Тазакент в Армении (рис. 15).

На поясах третьей группы орнаментальная горизонтальная линия делит плоскость на две части. Кроме того, внутреннее пространство пояса разделено на отдельные кадры вертикальными орнаментальными столбиками. В декоре создается своеобразное сочетание горизонтальных и вертикальных линий. Строгое разделение плоскости на отдельные кадры придает композиции замкнутый характер. (Санаин, Лчашен, Нор-Баязят в Армении, Карабахский пояс из Азербайджана, Трели, Самтавро, погр. 281 в Грузии, рис. 1, 2, 11, 16).

На поясах четвертой группы при отсутствии разделительной горизонтальной линии, изображения распределены двумя фризами. Нами выделено две подгруппы. В первой подгруппе распределенная двумя фризами композиция делится на отдельные кадры. Но в этом случае вертикальные столбики заменяются представленными во весь рост вертикальными человеческими фигурами. Деление плоскости на отдельные кадры имеет не декоративный, а изобразительный, фигуральный характер, что и создает на поясах непрерывный фриз. (Астхилур, Севан, Ахтала, Лчашен в Армении, Хачбулаг в Азербайджане, Самтавро погр. 211 в Грузии, рис. 4, 10.

На поясах второй подгруппы изображения распределе-

ны двумя фризами. На некоторых экземплярах композиция строго симметрична (Тли погр. 224, Калакентский пояс, рис. 9).

На некоторых экземплярах изображения на плоскости построены также двумя рядами. Но симметричность нарушена, поскольку размеры представленных животных различны, иногда отдельные компоненты нижнего ряда вклиниваются в верхний ряд. Все это нарушает симметрию, но оживляет декор и придает ему определенную живописность. (Триалети, Чибарухи, рис. 17).

К пятой группе относится одна группа Азербайджанских поясов, композиция которых носит вольный, импровизированный характер; ярко выраженный индивидуальный облик этой группы резко отличает ее от всех поясов Закавказья (рис. 7, 8).

Примечательно, что пояса из погр. № 56, 23, 591 Самтавро выявляют особую близость с поясами из Ахпата, Такна и Степанавана. Построенная по общей структуре композиция сильно упрощена. Распределение небольших схематичных фигур на широком фоне придает стилю этих поясов определенную простоту и легкость (рис. 5, 15).

Изображенные на поясах фигуры подчеркнута декоративны. Моделировка формы на плоскости условна и линейна. Особой выразительности достигает пластический рисунок, дающий известное ощущение объема. Объемность подчеркнута также декоративным выделением формы пунсоном и штриховкой.

Таким образом, пояса восточного Закавказья характеризуются функциональных, художественно-декоративным и стилистическим единством. Можно предположить, что мы имеем дело с одним художественным феноменом, который является общим для всех культурных центров. Различия проявляются не между отдельными регионами, а внутри каждого региона. Каждая группа поясов выявляет отдельные варианты одного и того же художественного стиля.

მერი ინაძე

ანტიკური ხანის კოლხეთსა და თრაკიაში სახელმწიფოს წარმოქმნა-განვითარების ისტორიული პარალელები

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ადრეული პოლიტიკური გაერთიანებების—კოლხეთისა და იბერიის სამეფოების აღმოცენების დროის, მიზეზების, მათი პოლიტიკური თუ სოციალური წყობის საკითხები ქართული ისტორიოგრაფიის უაღრესად რთულ და აქტუალურ პრობლემათა წრეს განეკუთვნება. ეს პრობლემები ადრევე იდგა ქართველ მეცნიერთა წინაშე¹ და დღესაც საქართველოს ძველი ისტორიის მკვლევართა შესწავლის ერთ-ერთ უმთავრეს საგანს წარმოადგენს. ამჟამად დასახელებული პრობლემები მუშავდება როგორც წერილობითი წყაროებისა და ნუმიზმატიკური ფაქტების ანალიზის, ასევე უკანასკნელ წლებში მოზოგებულ არქეოლოგიური მასალის ფართოდ გამოყენების საფუძველზე². მაგრამ ზემოაღნიშნული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების შესწავლა მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე მოითხოვს არა მხოლოდ უახლესი არქეოლოგიური და სხვა დამხმარე დისციპლინათა მონაცემების გამოყენებას, არამედ იმ შედეგების

¹ საქართველოს ისტორია. ნაწ. I, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946: ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 50 და შემდ.

² Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, Тб., 1959: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970: М. П. И н а д з е, Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968; ოთ. ლ ო რ თ ქ ი დ ა ნ ი ძ ე, არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგადი საკითხი. „მაცნე“ (ისტორიის სერია), 1976 № 2, გვ. 127 და შემდგ. მისივე, ვანის ნაქალაქარი, გათხრები, ისტორია, პრობლემები, ვანი, III, თბ., 1977, გვ. 13 და შემდ.; Т. К. М и к е л а д з е, К вопросу о периодизации истории древней Колхиды, «Вопросы древней истории (Кавказско-ближневосточный сборник)», IV, Тб., 1973, გვ. 126 და შემდ.; Г. Л о р д к и п а н и д з е, Колхида в VI—II вв до н. э., Тб., 1978.



გათვალისწინებასაც, რომლებიც მიღებულია ამ ბოლო დროს მახლობელი აღმოსავლეთისა და შავიზღვისპირეთის ძველ საზოგადოებებში ადრეკლასობრივი სახელმწიფოების ისტორიის შესწავლის ხაზით.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს დასავლეთ შავიზღვისპირეთში თრაკიელთა სახელმწიფოს (ე. წ. ოდრისთა სამეფოს) ისტორიის კვლევა-ძიებით მოპოვებული უახლესი მიღწევები³.

თრაკიელ ტომებში სახელმწიფოს (ოდრისთა სამეფოს) წარმოქმნა-განვითარების პროცესის განხილვა გვარწმუნებს, რომ იგი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს კოლხურ საზოგადოებაში მიმდინარე ამავე რივის პროცესთან. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მსგავსება შეინიშნება არა მხოლოდ ამ სახელმწიფოთა ფორმირების მსვლელობაში, მის გამომწვევ მიზეზებში, არამედ მათი პოლიტიკური ორგანიზაციის ხასიათსა და სოციალურ-ეკონომიკურ წყობაშიც. რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ მხოლოდ ოდრისთა სამეფოსთან პარალელების გავლებით და მათზე დაყრდნობით ვამტკიცოთ კოლხეთში ამა თუ იმ სოციალური, თუ პოლიტიკური ინსტიტუტის არსებობა, ანდა კონკრეტულად ვიმსჯელოთ კოლხეთის საზოგადოებისა და სახელმწიფოს რაობაზე, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ასეთი შედარებითი შესწავლა სასარგებლოა, რადგან იგი შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ღრმად გავიანზრთოთ ჩვენ ხელთ არსებული საისტორიო (წერილობითი, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური) მონაცემები კოლხეთის სამეფოს შესახებ და ამასთან უფრო დაბეჯითებით ვამტკიცოთ როგორც ჩვენი, ასევე სხვა მკვლევართა მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება ზემოდასახელებული საკითხების შესახებ.

პროცესები, რომლებიც თრაკიაში მიმდინარეობდა აღებულ ხანაში, საგულისხმოა ძველი კოლხეთის ისტორიის მკვლევართათვის იმ თვალსაზრისითაც, რომ მათში განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა წინაკლასობრივიდან ადრეკლასობრივ საზოგადოებაში გადასვლის მთელი ის კანონზომიერება, რომელიც ანტიკური

³ თრაკიელთა სახელმწიფოს საკითხები სადღეისოდ ყველაზე სრულად, უახლესი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მონაცემების გამოყენებით, შესწავლილია შემდეგ ნაშრომებში: Т. Д. Златковская, Возникновение государства у фракийцев, М., 1971; Хр. Д а н о в, Древна Тракия, София, 1969; Хр. М. Д а н о в, Древняя Фракия, Л., 1969 (авторферат докт. диссертации).

სამყაროს პერიფერიისათვის იყო დამახასიათებელი. ამასთან, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო დიდხანს და უფრო სახით შემოინახა ადრეკლასობრივი საზოგადოების განვითარებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ისევე, როგორც კოლხეთში, თრაკიაშიც სახელმწიფოებრიობა ისახება უფრო ადრე, ვიდრე აღნიშნული საზოგადოებები მოექცეოდნენ ბერძნული ცივილიზაციის სოციალური და პოლიტიკური გავლენის სფეროში. ეს გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს თვალი გავადევნოთ იმ ფაქტორებს, რომელთაც მოამზადეს აქ სახელმწიფოს წარმოქმნა მათ თვითმყოფად მდგომარეობაში, ე. ი. შევისწავლოთ ამ სახელმწიფოების წარმომშობი შინაგანი მამოძრავებელი ძალები. მეორე მხრივ, ეჭვი არ არის, რომ სიანლოვემ და მჭიდრო ურთიერთობამ ელინური სამყაროს მსხვილ ცენტრებთან, რომლებსაც დამახასიათებელი იყო უფრო განვითარებული ეკონომიკა და რომლებმაც ადრე მიადწიეს სახელმწიფოებრიობას, აგრეთვე გაცხოველებულმა სავაჭრო ურთიერთობებმა და მრავალსაუკუნოვანმა კულტურულმა კავშირებმა ცივილიზაციის სხვა კერებთან (წინა აზია, ანატოლია), ერთგვარად დამაჩქარებელი როლი ითამაშეს როგორც თრაკიის, ასევე კოლხეთის საზოგადოებების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.

* * *

მკვლევართა დიდი ნაწილი ოდრისთა სამეფოს წარმოქმნის თარიღად ასახელებს ძვ. წ. 480—460 წლებს, ანდა ძვ. წ. V ს. დასაწყისს⁴. ჯერ კიდევ ოდრისთა პირველი მეფე ტერესი ცდილობდა თავისი სამეფოს ფარგლების გაფართოებას ჩრდილოეთით მდ. ისტროსამდე (თანამედროვე დუნაი), ხოლო სამხრეთით პროპონტიდამდე. მის გავლენას სცნობდნენ ბერძნული ახალშენები — აპოლონია და მესემბრია. ოდრისთა სამეფო თავისი აღმავლობის მწვერვალს აღწევს ტერესის შვილის სიტალკსის დროს⁵.

⁴ Х р. Д а н о в, Древна Тракия, გვ. 172—194; მისივე, Social and Economic Development of the Ancient Thracian in Homeric, Archaic and Classical times, «Etudes historiques à l'occasion du XI Congrès Internationale des sciences historiques à Stockholm», I, Sofia, 1960, გვ. 3—30.

⁵ Х р. Д а н о в, Древна Тракия, გვ. 175.

სიტალკესის მეფობა ოდრისთა სახელმწიფოს ფორმირების ისტორიაში გვევლინება თვისობრივი გარდატეხის, ერთგვარი კულმინაციის ხანად. სამეფოს საზღვრები ამ დროს უჩვეულოდ ფართოვდება (იგი მოიცავს ვრცელ ტერიტორიას — თითქმის მთელ დასავლეთ შავიზღვისპირეთს მდ. დუნაიამდე), იზრდება. სამეფო ხელისუფლების მნიშვნელობაც, მტკიცდება სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც წარმოიქმნება სატომო და სახელმწიფო საწყისების შერევის საფუძველზე. ამავე დროს განეკუთვნება აგრეთვე თრაკიის მნიშვნელობის ზრდა ანტიკური ხმელთაშუაზღვისპირეთის პოლიტიკურ სარბიელზე⁶.

ანალოგიური სურათი იშლება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ. წ. VI ს. უკანასკნელ მეოთხედსა და V ს-ში. ეს არის კოლხური ტომების სახელმწიფო გაერთიანების საბოლოო ფორმირების ხანა. ამავე დროს, ისევე როგორც ოდრისებში, აქაც სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესის დასრულებას ემთხვევა კოლხთა სატომო ბირთვის განსაკუთრებული გააქტიურება, მისი პოლიტიკური გავლენის ზრდა (სამხრეთით და ჩრდილოეთით მცხოვრებ მეზობელ ტომებზე) და სახელმწიფოს ტერიტორიის გაფართოება⁷. ბერძენ ავტორთა (პეროდოტე⁸, ფსევდო სკილაქს კარიანდელი⁹ და სხვ.) ცნობების თანახმად, ამ დროს კოლხთა გაერთიანების საზღვრები მოიცავს მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს; მას დომინირებული მდგომარეობა უკავია მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და წარმოგვიდგება საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად, რომელიც რთულ საგარეო ვითარებაში, სპარსეთის იმპერიის მიმართ გარკვეული დათმობების გზით, ახერხებს ერთგვარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას¹⁰.

⁶ Т. Д. Златковская, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 8 და შემდ.

⁷ М. П. Инадзе, *О времени образования Колхидского царства по данным древнегреческих авторов*, «Вопросы древней истории (Кавказско-ближневосточный сборник)», IV, Тб., გვ. 156.

⁸ Her., *Hist.*, IV, 37, 38.

⁹ P s.-S c y l., *Peripl.*, 77—84.

¹⁰ М. П. Инадзе, *О времени образования...*, გვ. 167. ოდრისთა და კოლხთა წამყვანი როლი დასავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესში გაპირობებული იყო მთელი რიგი ფაქტორებით. როგორც ოდრისებმა, ასევე კოლხებმა, რომელთაც ეჭირათ ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ნაყოფიერი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი მიწები, თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით მნიშვნელოვანად გაუსწრეს წინ მეზობელ ტო-

კოლხთა და თრაკიელ ტომთა პოლიტიკური გაერთიანებების შედარებითი შესწავლისას, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ყურადღება უნდა შევაჩეროთ მათ წარმომშობ მიზეზებსა და პოლიტიკური ორგანიზაციის ხასიათზე, რომელნიც დიდ მსგავსებას იჩენენ.

როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, თრაკიელ ტომთა პოლიტიკური გაერთიანების აღმოცენებას საფუძველი მოუშადა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებამ, სახელდობრ, საერთოთრაკიული ეკონომიკური ერთობის შექმნამ. იგი გაივლის რამდენიმე ეტაპს. უკვე ძვ. წ. VIII—VII სს-ში წარმოება თრაკიაში ემყარება ადგილობრივ ნედლეულს და ემსახურება აქ არსებულ ტომთა კავშირს ან რამდენიმე ტომის გაერთიანებას. ძვ. წ. VII—VI სს-ში, პერიოდში, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ოდრისთა სამეფოს წარმოქმნას, შეინიშნება საერთოთრაკიული ეკონომიკური კავშირების ზრდა, კერძოდ, ხელოსნური ნაწარმი ვრცელდება მისი დამამზადებელი ცენტრებიდან საკმაოდ დაშორებულ რაიონებში¹¹. ძვ. წ. VI—V სს-ში თრაკიელთა ეკონომიკური კონსოლიდაცია კიდევ უფრო ძლიერდება, რაც გამოიხატა მატერიალური კულტურის საერთოთრაკიული ტიპების შექმნაში, ასევე სახელოსნო ნაწარმის უნიფიკაციაში (ერთი და იმავე ტიპის ნაწარმი მზადდება მთელი ქვეყნის მასშტაბით). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამდროინდელი ლითონისა და კერამიკული ნაწარმი ზუსტად თავსდება ოდრისთა სამეფოს საზღვრებში. მკვლევართა აზრით, სწორედ ეს ფაქტი არის არსებითი ნიშანი თრაკიაში ეკონომიკური ერთობის შექმნისა, რაც საფუძველად დაედო აქ მოსახლე ტომთა პოლიტიკურ კონსოლიდაციას¹².

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური ვითარება დასტურდება კოლხეთშიც, პოლიტიკური გაერთიანების შექმნის ხანაში. დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის საფუ-

მებს. გარდა ამისა, სამდინარო კომუნიკაციებით მათ ადგილად შეეძლოთ ქვეყნის მრავალ რაიონსა და ზღვისპირა ბერძნულ ახალშენებთან დაკავშირება. უდავოა აგრეთვე ოდრისთა, ისევე როგორც კოლხთა, ადგილსამყოფელის უპირატესობა სტრატეგიული თვალსაზრისითაც. მათ ნაკლებად შეეხო ის პოლიტიკური გართულებები, რომლებიც თან სდევდა სპარსეთის მეფეთა (კიროსის, კამბისეს, დარიოსის) ლაშქრობებს მახლობელ აღმოსავლეთსა და სკვითების ქვეყანაში.

¹¹ Т. Д. Златковская, დასახ. ნაშრ., გვ. 46 და შემდ.; Х р. Данов, Древна Тракия, გვ. 317.

¹² Т. Д. Златковская, დასახ. ნაშრ., გვ. 56 და შემდ.; С h г. Данов, Social and Economic Development..., გვ. 3—30.

ძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კოლხეთში ძვ. წ. VI—IV სს-ში სავსებით აშკარად შეინიშნება ხელოსნური ნაწარმის ძირითადი ფორმების სტანდარტიზაცია: სხვადასხვა საწარმოო ცენტრი, ზოგჯერ, ალბათ, ტერიტორიულად ერთმანეთს საქმაოდ დაშორებულიც, მზადებს ფორმითა და ორნამენტაციით ერთგვაროვან პროდუქციას.

ხელოსნური ნაწარმის უნიფიკაცია და ამგვარად საერთოკოლხური ტიპის ნივთიერი კულტურის შექმნა შედეგი იყო არა მხოლოდ შინაკოლხური ეკონომიკური კავშირებისა (რაც გვიანბრინჯაო-აღრეკინის ხანაშიაც შეინიშნება), არამედ, პირველ რიგში, შინაკოლხური ეკონომიკური ერთობისა¹³.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა, რომელიც თრაკიის, ისევე როგორც კოლხეთის, ცალკეულ ოლქებს ერთიან ეკონომიკურ სისტემაში აქცევდა, ხელოსნური ნაწარმის უნიფიკაციასთან ერთად, იყო ფულადი მიმოქცევა, დაფუძნებული ერთიან სისტემაზე. შინათრაკიული და შინაკოლხური ბაზრებისათვის მოჭრილი მონეტების არაჩვეულებრივი სიმრავლე ქვეყნის სხვადასხვა ოლქში თავისთავად მეტყველებს წარმოების სასაქონლო ხასიათსა და ვაჭრობის ორგანიზაციის მაღალ დონეზე.

ამრიგად, ძვ. წ. VI—IV სს-ში ხელოსნური წარმოებისა და სამონეტო სისტემის ასეთი განვითარება სრულ უფლებას გვაძლევს დავინახოთ თრაკიაში, ისევე როგორც კოლხეთში, საზოგადოების რთული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურა, რაც საფუძვლად დაედო ერთიანი სახელმწიფოს წარმოქმნას, მის პოლიტიკურ კონსოლიდაციას.

მაგრამ საერთოთრაკიული პოლიტიკური გაერთიანების წარმოქმნის პროცესის კვლევა-ძიების შედეგების განხილვა გვარწმუნებს, რომ ეკონომიკური ერთობა არ იყო ერთადერთი წინამძღვარი, რამაც განაპირობა აღნიშნული პროცესის დასრულება და ოდრისთა სამეფოს საბოლოო ფორმირება. აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც, მკვლევართა აზრით, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა თრაკიელ ტომთა პოლიტიკურ კონსოლიდაციაში. ეს იყო გარეპოლიტიკური ვითარება, რომელიც იქმნება თრაკიის მახლობლად სახელმწიფოს შექმნის ხანაში. იგულისხმება ის დიდი ძვრები, რომელიც გამოიწვია აღმოსავლეთ ხმელ-

¹³ თ. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე, არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 127 და შემდ.

თაშუაზღვისპირეთში ძვ. წ. VI ს. დასასრულსა და V ს. დასაწყისში იმდროინდელი ოიკუმენეს უმსხვილესი პოლიტიკური ძალები¹⁴. ელინური სახელმწიფოებისა და სპარსეთის სამეფოს შეტაკებამ¹⁴. ზოგიერთი მკვლევარი (ქრ. დანოვი) ვარაუდობს, რომ რამდენიმე სატომო ერთეულის ერთმანეთთან შეკავშირება-გაერთიანების ტენდენცია გარეპოლიტიკური სიტუაციის გართულების გამო უფრო ადრეც (ჭერ კიდევ ძვ. წ. VI ს. უკანასკნელ მეოთხედში) ჩნდება თრაკიაში. სახელდობრ, ეს იდეა პირველად უნდა ჩასახულიყო თრაკიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლე ტომებში, რომელთაც განსაკუთრებით მწვავედ განიცადეს სპარსელთა დაპყრობების შედეგები¹⁵. პოლიტიკური შეკავშირებით ამ ტომებს სურდათ თავი დაეღწიათ სპარსეთის მბრძანებელთა აგრესიისაგან. მომდევნო ხანაში (ძვ. წ. V ს. დასაწყისი), საგარეო ვითარების გართულებასთან ერთად, ერთიანი სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნის იდეა თანდათან ძლიერდება და რეალურ სახეს იღებს.

ამრიგად, მკვლევართა აზრით, გარეპოლიტიკური სიტუაციის გამწვავება დაემთხვა თვით თრაკიის საზოგადოებაში ეკონომიკური პირობების მომწიფებას (საერთოთრაკიული ეკონომიკური ბაზის მომზადებას), რასაც შედეგად მოჰყვა თრაკიელთა შეკავშირება ოდრისთა სატომო ბირთვის გარშემო და თავისებურ სახელმწიფო ორგანიზაციად ჩამოყალიბება¹⁶.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური მოსაზრება გარეპოლიტიკური ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ კოლხეთის სამეფოს საბოლოოდ ფორმირების პროცესში გატარებულია ჩვენს ნაშრომებშიაც, რომლებშიაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიის სხვა საკითხებთან ერთად განხილულია კოლხეთის სამეფოს წარმოქმნის პირობები და მიზეზები¹⁷. სახელდობრ, ძველ ბერძენ ავტორთა — ჰეკატე მილეტელის, ჰეროდოტეს, ფსევდო-სკილაქსის ცნობების ურთიერთშედარებისა და ანალიზის საფუძველზე ვვარაუდობთ, რომ კოლხთა სამხრეთი მეზობელი ტომები (ბეჭირები და

¹⁴ K. Beloch, Griechische Geschichte. Berlin-Leipzig, 1923, III, 2, გვ. 85; X p. M. Д а н о в, Древняя Фракия, გვ. 56; Т. Д. З л а т к о в с к а я, დასახ. ნაშრ., გვ. 8, 9.

¹⁵ X p. M. Д а н о в, Древняя Фракия, გვ. 57, 69, 70.

¹⁶ Т. Д. З л а т к о в с к а я, დასახ. ნაშრ., გვ. 9, 10.

¹⁷ М. П. И н а д з е, Причерноморские города древней Колхиды, გვ. 162 და შემდ.: მ ი ს ი ე ე, О времени образования Колхидского царства... გვ. 156 და შემდ.

ბიძერები) კოლხებთან უნდა შეკავშირებულიყვნენ სწორედ დარი-
ოსის მიერ იმპერიის სატრაპიებად დაყოფის წინ (ძვ. წ. VI ს. 20-
იან წლებამდე) იმ მიზნით, რომ თავი დაეღწიათ სპარსეთის აგრე-
სიისაგან და არ მოხვედრილიყვნენ მის უშუალო შემადგენლობაში
(ე. ი. არ გადაქცეულიყვნენ იმპერიის ფისკალურ-ადმინისტრაციულ
ერთეულად, მის შემადგენელ ნაწილად). ამავე ხანას მივაკუთვნებთ
და ძირითადად ამითვე ვხსნით კოლხთა გარშემო სხვა მეზობელი
სატომო ერთეულების შემომტკიცებას და მათი დიდი გაერთიანე-
ბის შექმნას (ძვ. წ. VI ს. უკანასკნელი მეოთხედისათვის). ოდრისთა
სამეფოს წარმოქმნასთან პარალელების გავლება შესაძლებლობას
გვაძლევს მეტი დაბეჯითებით ვამტკიცოთ კოლხეთის პოლიტიკური
გაერთიანების ფორმირების პროცესში საგარეო ფაქტორის მნიშვნე-
ლობა.

ამრიგად, თავისი ფორმირების დასასრულისათვის (ძვ. წ. VI
ს. 20-იანი წლები) კოლხთა პოლიტიკური გაერთიანება, ისევე რო-
გორც ოდრისთა სამეფო, წარმოგვიდგება თავისი პოტენციალით
ერთიან და საკმაოდ ძლიერ სახელმწიფო ორგანიზმად, რომლის-
თვისაც დამახასიათებელი იყო მრავალი სატომო ერთეულის თავ-
მოყრა და ტერიტორიის სიფართოვე.

მაგრამ აქვე დგება მეორე საკითხი — გულისხმობს თუ არა
კოლხურ და თრაკიულ ტომებში მიმდინარე ეკონომიკური და პო-
ლიტიკური კონსოლიდაციის პროცესი იმას, რომ მათ მიერ შექმნი-
ლი გაერთიანებანი წარმოადგენდნენ მყარ, საკმარისად ორგანიზე-
ბულ და მტკიცედ ადმინისტრირებულ სახელმწიფოებს; რამდენად
შეესაბამებოდა კოლხეთის ან თრაკიის საზოგადოების ამდროინდე-
ლი ეკონომიკური განვითარების დონე მათი პოლიტიკური კონსო-
ლიდაციის ხარისხს, ანდა რამდენად განსაზღვრავდა ზემოაღნიშნუ-
ლი ერთიანი, ეკონომიკური სისტემის არსებობა ამ ქვეყნებში მათი
პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმებს?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მოითხოვს შევეხოთ ოდრისთა
და კოლხთა სახელმწიფოების პოლიტიკური და სოციალური წყო-
ბის საკითხს.

წერილობითი და ეთნოგრაფიული წყაროები მოწმობენ, რომ
ოდრისთა პოლიტიკური გაერთიანების არსებობის ადრეულ ეტაპ-
ზე (V—IV სს-ში) მეფე ერთპიროვნულად წყვეტდა საგარეო პოლი-
ტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ დროს თრაკიის მბრძანე-
ბელთა ხელში გაერთიანებული იყო მეფისა და ქურუმის ფუნ-



ქცია¹⁸. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თრაკიელ მემფისურ ხელისუფლება მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა სიძლიერით. ამასთან დაკავშირებით ძალზე საყურადღებოა პარადინასტების ინსტიტუტი, რომელიც ოდრისთა სამეფოს პოლიტიკური ორგანიზაციის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

წერილობით წყაროებსა და ნუმიზმატიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მკვლევარნი ოდრისთა სამეფოს პოლიტიკურ სტრუქტურას შემდეგნაირად წარმოგვიდგენენ. სამეფო (უფრო სწორად მისი ერთი ნაწილი) დაყოფილი იყო საგამგეო ოლქებად, რომელთა სათავეში იდგნენ მათი მმართველი პარადინასტები — თრაკიის უძლიერესი ტომების მეთაურები. ისინი ხშირად ნათესაურ კავშირში იმყოფებოდნენ ოდრისთა მეფესთან (სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებად გვევლინებიან)¹⁹. ჩვეულებრივ პარადინასტები მეფისაგან იღებდნენ საგამგეო ოლქებს, ამასთან თავდაპირველად მათ სამმართველოდ შეიძლებოდა გადასცემოდათ სხვადასხვა ოლქი. ოდრისთა სახელმწიფოს ასეთ წყობაში თითქმის ერთგვარი წინსვლა უნდა დავინახოთ სატომო კავშირის სტრუქტურასთან შედარებით, ხოლო პარადინასტები წარმოვიდგინოთ ადმინისტრაციულ პირებად²⁰. მაგრამ საკითხი ასე მარტივად არ წყდება. საქმე ის არის, რომ პარადინასტები მხოლოდ ადმინისტრაციულ მოხელეებად არ წარმოგვიდგებიან. როგორც წერილობითი წყაროებიდან (თუკიდიდე²¹, ქსენოფონტი²² და სხვ.) ირკვევა, თავიანთ საგამგეო ოლქებში ისინი ხშირად თითქმის არ განსხვავდებოდნენ მეფისაგან, დიდი გავლენით სარგებლობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და თავის მმართველობის ცალკეულ პერიოდში იჩენდნენ სრული გამოყოფისა და დამოუკიდებლობის ტენდენციას²³.

¹⁸ Т. Д. Златковская, О происхождении некоторых элементов кукерского обряда у болгар, СФ, 1967, № 3, გვ. 31—46. საგულისხმოა, რომ დერონების სატომო მონეტებზე გამოსახულია ხარბშეზემულ ეტლზე მდგომი მეფე, რომელიც რიტუალური ზენის ცერემონიას ასრულებს (Т. Д. Златковская, Возникновение государства у фракийцев, გვ. 225 და შემდ.).

¹⁹ В. Добруски, Исторически поглед върху нумизматика на тракийските царе (Т. Д. Златковская, Возникновение государства..., გვ. 230 და შემდ.).

²⁰ Т. Д. Златковская, Возникновение государства..., გვ. 232.

²¹ Thuc., II, 97, 3.

²² Xen., Anab., VII, II, 32—34; VII, VII, 26.

²³ წერილობით ცნობებთან ერთად ამაზე მეტყველებენ ნუმიზმატიკური ფაქტებიც. კერძოდ ძალზე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზოგჯერ მონეტა იჭრება

მაგრამ არსებობს სხვა ისტორიულ-ლიტერატურული გადმოცემებიც, რომელთა მიხედვით პარადინასტების შედარებით დამოუკიდებლობასთან ერთად მკვეთრად შეინიშნება სამეფო ხელისუფლებისადმი მათი მორჩილება, გარკვეული დაქვემდებარება. ზოგ შემთხვევაში ოდრისთა მეფეები აქტიურად ერევნიან პარადინასტების საქმიანობაში, აუქმებენ ან ცვლიან მათ გადაწყვეტილებებს, ანდა მათ მიერ გაცემულ უფლება-პრივილეგიებს ამა თუ იმ პირებისადმი²⁴. პარადინასტების ასეთი დაქვემდებარებული მდგომარეობა ცენტრალური ხელისუფლების მიმართ განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს ოდრისის მეფეთა ძლიერების ხანაში.

ამრიგად, თრაკიის მეფეთა ხელისუფლების ხასიათისა და პროგრადივების შესახებ არსებულ წერილობით წყაროებში თვალნათლივ შეინიშნება წინააღმდეგობა. წყაროთა ერთი ნაწილი აშკარად მეტყველებს პოლიტიკური ცენტრალიზაციის ელემენტებზე, ხოლო მეორე ნაწილი, პირიქით, თითქოს მიუთითებს მის შეზღუდვასა და პარადინასტთა შედარებით დამოუკიდებლობაზე²⁵.

წყაროთა ამ წინააღმდეგობის საფუძველზე მკვლევარი ვარაუდობენ, რომ ოდრისთა სამეფო წარმოადგენდა ერთიან პოლიტიკურ ორგანიზმს მეტად სუსტი შინაგანი კავშირებით²⁶. საქმე ის არის, რომ ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაცია არ ამოიწურებოდა მხოლოდ პარადინასტთა საგამგეო ოლქებად დაყოფით. ეს ოლქები თავის მხრივ აერთიანებდნენ ცალკეულ ტომებს, რომელთა სათავეში იდგნენ სატომო არისტოკრატის წარმომადგენელი, ე. წ. სუბპარადინასტები²⁷. როგორც არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, აღნიშნული სატომო არისტოკრატია, ტომის ბელადები თუ მეთაურები საკმაო ძალაუფლებით სარგებლობდნენ ოდრისთა სამეფოში. საკმარისია აღინიშნოს, რომ მთელ თრაკიაში გაბნეულია მათი მდიდრული სამარხები, რომლებიც ძვ. წ. V—IV სს. განეკუთვნება²⁸.

როგორც ოდრისთა მეფის, ასევე მისი თანამმართველი პარადინასტის სახელით. ამასთან, მათ მიერ მოჭრილი მონეტების ტიპები ერთმანეთს ემთხვევა. განსხვავება არ ჩანს არც სამონეტო ლეგენდაში. ორივე შემთხვევაში ფიგურირებს მონეტის მომჭრელთა სახელები მათი ტიტულს გარეშე (Т. Д. Златковская, Возникновение государства..., გვ. 235, 236).

²⁴ Х е п., Апах., VII, III, 36; VII, V, 8; VII, VI, 43; VII, VII, I; VII, VII, 50.

²⁵ Т. Д. Златковская, Возникновение государства..., გვ. 238.

²⁶ Х р. М. Данов, Древняя Фракия, გვ. 69 და შემდ.

²⁷ Т. Д. Златковская, Возникновение государства..., გვ. 240.

²⁸ იქვე, გვ. 168, 239.

ასევე დადასტურებულია ამ ადგილობრივ სატომო ხელისუფალ-
თა რეზიდენციები, ციხესიმაგრეები და სხვ. ამას უნდა დავუმატო-
ისტორიულ-ლიტერატურული გადმოცემებიც, რომელთა თანახმად
საქმოდ გვიანდელ ხანაშიაც კი თრაკიის არმიის ძირითადი დანა-
ყოფების ფორმირება ხდებოდა სატომო პრინციპის მიხედვით და
თითოეული მათგანის სათავეში იდგა ტომის ბელადი, მეთაური²⁹.

აღნიშნული საკითხის გასაშუქებლად ძალზე მნიშვნელოვანია
აგრეთვე გვიანდელი ხანის (დაახლოებით ძვ. წ. 300 წლის) ნუმი-
ზმატიკური მასალებიც, კერძოდ ბრინჯაოს მონეტები ავერსზე ჰე-
რაკლეს გამოსახულებით (რევერსზე გამოხატულია ხარი). მონეტას
ახლავს წარწერა „ოდროეს“, „ოდროსიტონ“, „ოდროსონ“, „ოდ-
როს“, რაც ოდროსთა სატომო სახელს წარმოადგენს. მონეტაზე
მეფის სახელის ნაცვლად ასეთი წარწერის მოთავსება აშკარად
მოწმობს სამეფოში საგვაროვნო-სატომო ინსტიტუტების შემონა-
ზვას³⁰. ასეთი წარწერის გამოჩენა ოდროსთა მონეტებზე სამეფოს
დაცემისა და დასუსტების ხანაში, რაც კელტების შემოსევას სდევ-
და თან, მკვლევართა აზრით, უნდა მოწმობდეს სატომო ტრადიცი-
ებისა და სატომო მმართველობის ორგანოების შენარჩუნებას თრა-
კიის ყველაზე განვითარებულ ტომში — ოდროსებშიც კი³¹.

სახელმწიფოს მმართველობის ორგანოების არსებობის პირო-
ბებში ამ სატომო ინსტიტუტების შენარჩუნებასა და სიმყარეში
მკვლევარნი ხედავენ სწორედ თრაკიის ადრეკლასობრივი სახელ-
მწიფოს დამახასიათებელ ნიშანს, მის სუსტ სიცოცხლისუნარიანო-
ბას, რაც გარეშე მტრების მიერ მიყენებული პირველი დარტყმის-
თანავე გამოვლინდა. მაკედონელთა დაპყრობების, კელტების შემო-
სევების ან რომელთა ლაშქრობების დროს ცალკეული თრაკიელი
ტომები და მათი მეთაურები ისტორიის ასპარეზზე ჩნდებიან და
იქიდან არ ქრებიან რომის იმპერიის შექმნის ხანაშიაც³².

სატომო ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობა აშკარად იჩენს
თავს თრაკიაში მაშინაც, როდესაც რომელ დამპყრობთა მიერ იგი
პროვინციად გადაკეთდა და სტრატეგიებად დაიყო. ეს სტრატეგიე-

²⁹ Т. Д. Златковская. Возникновение государства..., გვ. 240.

³⁰ იქვე.

³¹ Т. Д. Златковская, Мезия в I—II вв. н. э. М., 1951, გვ. 50
51, 130—133.

³² Н. Ф. Мурыгина, Фракия и Рим. Борьба фракийских племен
против римской агрессии во II—I вв. до н. э. и в начале I в. н. э. М.,
1951 (автореферат).



ბი ტომთა სახელებს ატარებდნენ და, როგორც ჩანს, მათ მიხედვით იყვნენ შედგენილნი. რომაელებმა ადმინისტრაციულ ერთეულებს — სტრატეგიებს საფუძვლად დაუდეს ქვეყნის სატომო დაყოფა, რომელიც ოდრისთა სამეფოშიც არსებობდა. სტრატეგია ფაქტიურად წარმოადგენდა სატომო ტერიტორიას³³.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ადმინისტრაციული დაყოფა, რომელიც შემოღებული იყო ოდრისთა სამეფოში, თავდაპირველად არ მოიცავდა ამ სახელმწიფოს მთელ პოლიტიკურ სისტემას. ეს სისტემა ძირითადად ეყრდნობოდა სატომო დაყოფას. ოდრისთა სამეფოს ორგანიზაციის პრინციპების ასეთ ორბუნებოვნებაში (სატომო და ტერიტორიული) კარგად ვლინდება მისი ადრეკლასობრივი ხასიათი³⁴.

ოდრისთა სამეფოს პოლიტიკური წყობის თავისებურებათა დამახასიათებელი მთელი ეს მრავალმხრივ საინტერესო მასალა იმისათვის მოვიტანეთ, რომ აღნიშნული პოლიტიკური სისტემა თავისი სატომო ტრადიციებით გასაოცარ მსგავსებას ავლენს კოლხეთის სახელმწიფო ორგანიზაციასთან, რომელიც ჩვენ ხელთ არსებულ მწიბრი წერილობითი წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძირითადად ასევე ტომურ-ტერიტორიულ პრინციპზე იყო აგებული.

თრაკიის სინამდვილიდან მოტანილი ეს ფაქტები მნიშვნელოვნად ავსებენ ჩვენს წარმოდგენებს კოლხთა პოლიტიკური წყობის, მისი ხასიათის შესახებ. ამასთან ისინი საფუძველს გვაძლევენ დავარწმუნდეთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ანტიკურ მწერლობაში შემონახული ზოგიერთი ცნობის საფუძველზე ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში შემუშავებული დებულების სისწორეში.

როგორც არაერთხელ აღნიშნულა, ამ ცნობათაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სტრაბონის გადმოცემა (XI, 2, 18), რომლის თანახმად აიეტის მემკვიდრე „მეფეებმა სკეპტუხიებად დაჰყვეს ქვეყანა (კოლხეთი. — მ. ი.) და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“³⁵.

მოტანილი ცნობის ანალიზის, აგრეთვე იმავე სტრაბონის სხვა მონაცემების განხილვის საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომლის თანახმად სტრაბონის ცნობაში

³³ Н. Ф. Мурыгина, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 14.
³⁴ Т. Д. Златковская, *Возникновение гос ударства...*, გვ. 241.
³⁵ თ. ყ ა უ ხ ი ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის „გეოგრაფია“, თბ., 1957, გვ. 124.



მოსხენიებულ სკეპტუხიებში უპირველეს ყოვლისა უნდა იგულისხმებოდეს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები, მაგრამ აღინიშნა ისიც, რომ სკეპტუხიათა რეალურ-ისტორიული შინაარსი ამით არ ამოიწურება. სტრაბონის ცნობები უნდა მიუთითებდეს არა ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ დაყოფაზე, არამედ „კოლხეთის დანაწილებაზე ცალკეულ ტომურ ორგანიზაციებად“. „კოლხეთში ტომთა ორგანიზაცია მთლად გამქრალი არ იყო, მაგრამ ეს ტომები უკვე ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ“³⁶.

სტრაბონისა და სხვა ბერძენ თუ რომაელ ავტორთა ნაშრომებში დაცული ცნობების ანალიზმა და შემდგომმა კვლევამ ჩვენც იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ კოლხეთის სამეფოს ადმინისტრაციული დანაწილება ტერიტორიულ პრინციპზე კი არ მოხდა, არამედ მას საფუძვლად დაედო ქვეყანაში არსებული სატომო ორგანიზაციები. ეს სატომო ერთეულები კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შესვლისა და ადმინისტრაციულ დანაყოფებად გადაქცევის შემდეგაც ერთმანეთში არ გათქვეფილან და მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდნენ თავიანთ „ტომურ“ მთლიანობას³⁷.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ოდრისთა სამეფოს ანალოგიურად, ამ სატომო-საგამგეო ერთეულების სათავეში მდგომი პირები — სკეპტუხები გარკვეულ პერიოდში (სამეფოს ძლიერების ხანაში), უთუოდ ერთგვარად კიდევ ემორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, მაგრამ ხელსაყრელ ვითარებაში ყოველ-

³⁶ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 210; მსივე, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 156, 157.

³⁷ მ. ი ნ ა ძ ე, კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის, სმამ, ტ. XXVI, № 6, 1961, გვ. 783—790. ანალოგიური მოსაზრებაა გამოთქმული აკად. ნ. ბერძენიშვილის არქივში დაცულ მასალებში, რომლებიც 1975 წელს გამოქვეყნდა: „კოლხეთი რომ სახელმწიფო ყოფილიყო, ისე როგორც ვერისი იყო გვიან, ის არც აგრე ადვილად გაქრებოდა და ტომები, რომელნიც ასე თავშემონახული აღმოჩნდა კოლხეთის დაშლის შემდეგ, გაითქვეფებოდნენ კოლხთა სახელმწიფოში. ეს იყო ტომთა დიდი გაერთიანება კოლხთა მეთაურობით“ (საქართველოს ისტორიის საკითხები, № VIII, თბ., 1975, გვ. 365, შეად. ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ვანის ნაქალაქარი). ავტორი აღნიშნავს, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე „მკაცრი კულტურული და ეკონომიკური ერთიანობა“ (ადრეანტიკურ ხანაში) „გულსხმობს პოლიტიკური კონსოლიდაციის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც ტომობრივი ორგანიზაციის საფუძვლები უკვე დაძლეულია და წაშლილი“ (ვანი, III გვ. 16 შენ. 14).

თვის იჩენდნენ პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და განკერძოების ტენდენციას³⁸.

ქვეყნის სკეპტუხიებად, ანუ სატომო-საგამგეო ერთეულებად დაყოფა, ჩანს, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომელიც არსებითად განსაზღვრავდა კოლხეთის სამეფოს ხასიათსა და მის პოლიტიკურ წყობას. სატომო ორგანიზაციის ელემენტების შემორჩენის პირობებში, ბუნებრივია, კოლხეთში, ისევე როგორც თრაკიაში, არ შეიძლებოდა შექმნილიყო საკმარისად ცენტრალიზებული, მყარი სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ თავისი არსებობის ადრეულ პერიოდში (ოდრისთა სამეფოს მსგავსად) იგი თავისი პოტენციალით უთუოდ წარმოადგენდა ერთიან და ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებას საერთო-კოლხური ეკონომიკური ბაზისით³⁹.

ყოველივე ზემოთქმული გვარწმუნებს, რომ ეკონომიკური ერთობის, ვაჭრობის მაღალგანვითარებული ფორმებისა და ერთიანი სამონეტო სისტემის არსებობა, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი და რაც დასტურდება თრაკიაში და კოლხეთში ადრენტიკურ ხანაში, ჯერ კიდევ არ მოასწავებს აქ წარმოქმნილი სამეფოების პოლიტიკური ცენტრალიზაციის სიმყარეს. იგი არ იყო ძირითადი, განმსაზღვრელი ფაქტორი სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმებისა, თუმცა თავისთავად აუცილებელ წანამძღვარს წარმოადგენდა მისი წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესში.

თრაკიის და კოლხეთის სახელმწიფოების პოლიტიკური წყობის დახასიათებისას არ შეიძლება არ შევეხოთ მათი სოციალური სტრუქტურის საკითხსაც. როგორც ირკვევა, მიუხედავად საკმაოდ ძლიერი სოციალური და ეკონომიკური დიფერენციაციისა, ამ საზოგადოებებში ექსპლოატაციას არასოდეს არ მიუღია „კლასიკური“ ფორმები.

არსებული მონაცემები მოწმობენ თრაკიის საზოგადოებაში ექსპლოატაციის მრავალი ფორმის არსებობას⁴⁰. აღნიშნული გარემოება, როგორც ვიცით, საერთოდ დამახასიათებელია არაერთი ადრეკლასობრივი საზოგადოებისათვის. თრაკიაში ექსპლოატაციის ფორმები ძირითადად წარმოდგენილია ორი სახით. პირველი — ეს

³⁸ მ. ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 788.

³⁹ М. П. И н а д з е, Причерноморские города..., გვ. 164, 165.

⁴⁰ Т. Д. З л а т к о в с к а я, О формах эксплуатации в европейских раннеклассовых обществах Фракии, ВП, 1968, № 7, გვ. 103 და შემდ.

არის თავისუფალ მეთემეთა ექსპლოატაცია მეფის, მისი საგვარეუ-
ლოსა და სხვა წარჩინებულ პირთა მიერ. მიწის მუშაკი — მეთემე
გადასახადის სახით იხდიდა ზედმეტ პროდუქტს. მიწათმოქმედის
თავისუფლება უზრუნველყოფილი იყო მისი თემისადმი კუთვნი-
ლებით, ამასთან დაკავშირებით იგი ფლობდა წარმოების საშუალე-
ბებსაც. სოფლის მეურნეობა, რომელიც თავისთავად ქვეყნის ეკო-
ნომიკის წამყვან დარგს წარმოადგენდა, ძირითადად სწორედ ამ თა-
ვისუფალ მეთემეთა შრომაზე იყო დამყარებული⁴¹

ამავე დროს შეინიშნება თემის დაშლა მცირე ოჯახებად და მდი-
დარ გვარებად.

მეორე, უფრო მძიმე ფორმა ექსპლოატაციისა იყო მონობა. იგი
წარმოდგენილია თრაკიაში მონათა მცირე რაოდენობით. მათი შრო-
მა ძირითადად გამოიყენებოდა საშინაო მეურნეობაში. ისინი ხში-
რად გვევლინებიან შინამსახურებადაც. მონის შრომის შეზღუ-
დული გამოყენება, რაც აღრეკლასობრივი საზოგადოებისათვის იყო
დამახასიათებელი, ძალზე მკვეთრად ვლინდება თრაკიაში⁴².

მონათმფლობელობის განვითარების შენელებულ ტემპს თრა-
კიაში, მკვლევართა აზრით, გარდა საშინაო ფაქტორებისა, განსა-
ზღვრავდა ისიც, რომ მონების დიდი რაოდენობა ინტენსიურად
გაყავდათ უფრო განვითარებულ ბერძნულ პოლისებში. როგორც
ჩანს, მონის გაყიდვა სხვა ქვეყანაში უფრო ხელსაყრელი იყო,
ვიდრე მათი გამოყენება ქვეყნის შიგნით⁴³. ოდრისთა სახელმწი-
ფოს შემდგომ ისტორიულ განვითარებას, თრაკიის ჩაბმას იმპე-
რიის მონათმფლობელურ სისტემაში, უნდა გამოეწვია მონის შრო-
მის ხვედრითი წონის ზრდა მის ეკონომიკაში.

საზოგადოების ზემოჩამოთვლილი ორი კატეგორიის (თავისუ-
ფალთა და მონათა) გარდა არსებობდა სხვა ფენებიც, რომელთა
მხოლოდ ნაწილია მკვლევართათვის ცნობილი. ზოგიერთნი, ისევე
როგორც მონები, მოკლებულნი იყვნენ თავისუფლებას, მაგრამ
ფლობდნენ წარმოების საშუალებებსა და იარაღს. ისინი თავისი
შრომის უდიდეს ნაწილს უზღიდნენ პირებს, რომელთა მორჩილე-

⁴¹ Т. Д. Златковская, О формах эксплуатации... გვ. 108.

⁴² Е. М. Штаерман, Кризис рабовладельческого строя в западных провинциях Римской империи, М., 1957, გვ. 32; Т. Д. Златковская, О формах эксплуатации..., გვ. 110.

⁴³ Chr. D a n o v, Social and Economic Development of the Ancient Thracian..., გვ. 526, და შემდ.

ბაშიც იმყოფებოდნენ. აქვე შეინიშნება გარეეკონომიური იძულების სხვადასხვა ვარიანტი, მაგრამ ყველა ეს ფორმა ჯერ კიდევ არასრულყოფილი და დაუმთავრებელი სახითაა წარმოდგენილი⁴⁴.

მართალია, ჩვენ ძალზე მცირე მონაცემები გვაქვს კოლხეთის სოციალური წყობის დასახასიათებლად, მაგრამ მეზობელი იბერიის საზოგადოების შესწავლამ ძველადმოსავლური საზოგადოებების სოციალური სტრუქტურის ანალიზთან ერთად საფუძველი მისცა მკვლევართ (გ. მელიქიშვილი) გამოეთქვათ მოსაზრება, რომლის თანახმად კოლხეთში, როგორც იბერიაში, მონის შრომა არ თამაშობდა წამყვან როლს მატერიალური დოვლათის წარმოებაში⁴⁵. მკვლევართა მიერ აქ არსებული საზოგადოებები განიხილება, როგორც ადრეკლასობრივი, რომელთათვის დამახასიათებელია, უბირველეს ყოვლისა, მრავალწყობიანობა, როცა ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ ექსპლოატაციის მონათმფლობელური და ფერდალური წესები. ამასთან ერთად მოსახლეობის ძირითად მწარმოებელ მასას შენარჩუნებული აქვს პირადი თავისუფლება და სამეურნეო საქმიანობაში დამოუკიდებელი მდგომარეობა⁴⁶.

უკანასკნელი ხანის არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ვანის ნაქალაქარზე დაადასტურა ადრე გამოთქმული მოსაზრების სისწორე კოლხეთის საზოგადოებაში ექსპლოატაციის ადრეკლასობრივი ფორმების, მათ შორის თავისუფალ მეთემეთა და პატრიარქალური მონობის არსებობის შესახებ (ადრეანტიკურ ხანაში). ელინისტურ ეპოქაში ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში შეიმჩნევა მონის შრომის გამოყენების შედარებითი ზრდა⁴⁷.

ამრიგად, კოლხეთი, ისევე როგორც ოდრისთა სამეფო, განეკუთვნებოდა ადრეკლასობრივ სახელმწიფოთა ისეთ ტიპს, რომელთათვის დამახასიათებელი იყო დაწინაურებულ ეკონომიკასთან (სამონეტო სისტემის, ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების განვითარებულ ფორმებთან) ერთად ტომურ-გვაროვნული ძლიერი ტრადიციების არსებობა, რაც თავის გამოხატულებას ჰპოვებს ამ სა-

⁴⁴ Т. Д. Златковская, Возникновение государства..., გვ. 157 და შემდ.

⁴⁵ გ. მელიქიშვილი, ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური წყობილების საკითხი, „მაცნე“ (ისტორიის სერია), 1966, № 1, გვ. 52 და შემდ.

⁴⁶ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 52 და შემდ., Т. К. Микеладзе, К вопросу о периодизации истории древней Колхиды. გვ. 126 და შემდ.

⁴⁷ Г. Лордкипанидзе, Колхида в VI—I вв. до н. э., Тб., 1978.

ზოგადოებების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში, ასევე მათი
ლიტერატურული ორგანიზაციის ფორმებსა და სახელმწიფო წყობილების
სისტემაში.

М. П. ИНАДЗЕ

ИСТОРИЧЕСКИЕ ПАРАЛЛЕЛИ ВОЗНИКНОВЕНИЯ И РАЗВИТИЯ ГОСУДАРСТВА ВО ФРАКЦИИ И В КОЛХИДЕ АНТИЧНОЙ ЭПОХИ

Резюме

В статье рассмотрены пути и условия процесса возникновения и формирования государства у фракийцев и колхов в античную эпоху, а также их социально-экономическая структура и форма политической организации, проявлявшие много общих черт.

В результате сравнительного изучения рассмотренных процессов установлено, что кроме достаточно высокого уровня экономического развития как колхов так и фракийцев, проявившегося в создании единого экономического базиса, общей монетной системы и т. д., в окончательном становлении государств у колхов и фракийцев решающую роль играли и внешние факторы, военная угроза со стороны агрессивной Персии и т. д., что содействовало сплочению более слабых соседних племен вокруг колхов и одриссов в единые и обширные политические объединения.

Анализ имеющихся источников (письменных, нумизматических и археологических данных) показал, что создание значительной экономической общности как у колхов, так и фракийцев не означало еще наличия в стране прочных форм политической консолидации. Здесь еще долгое время сохранялись сильные родо-племенные традиции, племенные институты, что определяло как социально-экономическую структуру указанных обществ, их раннеклассовый характер (ограниченное применение рабского труда в ремесленном произ-

водстве и сельском хозяйстве), так и политическую организацию их государств, основанную на племенном принципе формирования основных административных единиц. Именно в этой двойственности принципов организации Одрисского и Колхидского царств (племенной и территориальной) улавливается основная общая характерная черта их политической структуры.

ნანა ხაზარაძე, გიორგი ცქიტიშვილი

ციხია-გორას კრამიტი

1971 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი გ. ცქიტიშვილი) სწავლობს კავთისხევის ციხია-გორას¹.

ციხია-გორა კომპლექსური ძეგლია. მასში შედის: ნასოფლარი, სამაროვანი და სამოსახლო გორა. ამ უკანასკნელზე ცხოვრება აღრებრინჯაოს ხანაში დაწყებულა, შემდეგ გვიანბრინჯაოსა და აღრე-რკინის ხანაში გაგრძელებულა და ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნამდე არ შეწყვეტილა. ჯერჯერობით ყველაზე უკეთ III ფენა შესწავლილი. იგი ძვ. წ. IV—III საუკუნეებით თარიღდება. უფრო ზუსტად, ამ ფენაში დადასტურებული ნაგებობების აშენების დროდ ძვ. წ. IV საუკუნეა მიჩნეული, ხოლო ნგრევისა — ძვ. წ. III ს. პირველი ნახევარი.

III ფენაში გამოვლენილია რთული კომპლექსი, რომლის 13 სათავსო უკვე გათხრილი და შესწავლილია. გაირკვა, რომ ძვ. წ. IV ს-ში გორის თხემს ალიზის აგურით ნაშენი გალავანი შემოუყვებოდა. გათხრილი ნაგებობებიდან ცენტრალური შენობა ტაძრადაა გაგებული. დანარჩენი შენობებიდან იგი საკუთარი, დამოუკიდებელი გალავნითაა გამოყოფილი. ტაძრის წინ, ეზოში, ქვით ნაგები

¹ ციხია-გორა მდებარეობს დღევანდელი კავთისხევის უბნის ჩოჩეთის განაპირას, კასპისკენ მიმავალ გზაზე, მდ. კავთურას მარცხენა სანაპიროზე, იქ საღაც შეეწყალა კავთურას უერთდება. გეომორფოლოგიური თვალსაზრისით ციხია-გორა ამოზიდული ტიპის გორებს განეკუთვნება. სადღეისოდ მისი სიმაღლე 12 მ. უდრის, ხოლო თხემის ფართობი — 100×40 მ²-ს. იხ. ზ. შატერაშვილი, გ. ცქიტიშვილი, კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგები, „საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება, 1972“ (მოკლე ანგარიშები), თბ., 1973, გვ. 61.

ოთხკუთხა, ორ მეტრამდე სიმაღლის საკურთხეველია აღმართული. ტაძრის გალავნის კედელზე აღმოსავლეთის მხრიდან სატაძრო ბედელია მიდგმულ-მიშენებული. ჩრდილოეთიდან ტაძარს 90 მ² ორსართულიანი ერთი შენობა ეკვრის, რომელიც პირობითად სასახლედაა გააზრებული. ტაძრისა და სასახლის კედლები 3,5 მეტრის სიმაღლემდე უხეშად დამუშავებული კლდის ქვითაა ნაგები. შემდეგ კედლის წყობა ალიზის აგურებით არის აყვანილი. კედლის სისქეში კონსტრუქციული განივი ძელებია დატანებული. სატაძრო ბედელი მთლიანად ალიზის აგურებითაა ნაგები, ტაძრის გალავანი კი ქვით².

ციხია-გორა III კრამიტის სიმრავლით ხასიათდება. კრამიტი ორგვარია — ბრტყელი (სოლენები) და ღარისებრი (კალიბტერები). ისინი ძირითადად ანტიკურ მცირე აზიაში საყოველთაოდ ცნობილი ტიპისაა³. ციხია-გორაზე დადასტურებულია წითლად შეღებილი და შეუღებავი კრამიტის ორივე ტიპი. ბრტყელი კრამიტი უყალიბოდაა მოჭრილი ფიცარზე; გვერდები და საბჯენი ქიმები ხელით აქვს აკეცილ-გამოყვანილი. ღარისებრი კრამიტი ქობუნაზე, ანუ ბოყვზეა დამზადებული⁴. ციხია-გორას ბრტყელი კრამიტის ზომები ძირითადად მერყეობს: სიგრძე — 48—52 სმ, სიგანე ქვემო

² დაწვრილებით იხ. გ. ც ქ ი თ ი შ ვ ი ლ ი, კავთისხევის „ციხია-გორა“, „მეგლის მეგობარი“, № 46, თბ., 1977; Г. Г. Ц к и т и ш в и л и, Результаты работ на «Цихиа-гора» (1971—1974 гг.), «Краткие сообщения», № 151, М. 1977, გვ. 87—93.

³ ანტიკური ხანის კრამიტის შესახებ იხ.: В. Ф. Г а й д у к е в и ч, Строительные керамические материалы Боспора, ИГАИМК, вып. 104, 1935, გვ. 260 და შემდ.; Б. Н. Г р а к о в, Эпиграфические документы царского черепичного завода в Пантикапее, იქვე, გვ. 202 და შემდ.; В. Ф. Г а й д у к е в и ч, История античных городов Северного Причерноморья; იხ. «Античные города Северного Причерноморья», М.-Л., 1955, გვ. 23 და შემდ.; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 44 და შემდ.; ი. ვ ა გ ო შ ი ძ ე, ელინისტური ხანის მასალები სამადლოდან, „საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, XXVIII, 1967, გვ. 77—80; მისივე, სამადლოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წ. მუშაობის ანგარიში, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები“, IV; И. А. Б а б а е в, Античная черепица Кавказской Албании, СА, № 2, 1974, გვ. 48 და შემდ. დაინტერესებული მკითხველი ამ შრომებში ნახავს ლიტერატურაზე სათანადო მითითებებსაც.

⁴ ქართული კრამიტის დამზადების ტექნიკისათვის იხ. ლ. ბ ო ქ ო რ ი შ ვ ი ლ ი, ქართული კერამიკა, I, თბ., 1946, გვ. 150; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 49 და შემდ.

მინერალოგმა თ. მორჩაძემ ლაბორატორიულად შესწავლა ციხია-გორას კრამიტისა და აქაურივე სხვა კერამიკული ნაწარმის თიხები და დაადგინა, რომ კრამიტი დამზადებულია იმ ნედლეულით, რომელიც კავთისხევში, ახალქალაქში, ხოვლესა და მეტეხში მოიპოვება.

ამგვარად, ციხია-გორას კრამიტის ადგილობრივი წარმომადგენლობა ეჭვს არ იწვევს. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ სრულიად იდენტური კრამიტები აღმოჩენილია სამადლოს, ნასტაკისისა და სარკინეს თანადროული ნაქალაქარების გათხრებისას და მკვლევართა მიერ მიჩნეულია ადგილობრივ კრამიტებად⁶.

ნაგებობათა შესწავლის დროს მოპოვებული კერამიკული მასალა ძირითადად წითლად გამომწვარი, წითლად შეღებილი და წითელი საღებავით მოხატული სხვადასხვანაირი ჭურჭლითაა წარმოდგენილი. ეს კერამიკა უფლისციხის, სამადლოსა და ნასტაკისის არქეოლოგიური გათხრებით კარგად ცნობილი და ძვ. წ. IV—III სს-ით დამაჯერებლად დათარიღებული ჭურჭლის იდენტურია. ციხია-გორა III კერამიკის ამ თარიღს მხარს უჭერს მომდევნო კულტურულ ფენაში აღმოჩენილი შავად გამომწვარ-გაპრიალებული პროფილირებული ჯამები და დოქები, რომლებიც კარგად თარიღდებათ ძვ. წ. III—II სს-ით⁷.

ამგვარად, ძეგლის სტრატეგრაფიული მონაცემები ჩვენთვის საინტერესო III ფენის დათარიღებას ძვ. წ. IV სს-ით უჭერს მხარს. ამავე თარიღს მხარს უჭერს „სასახლეში“ 1974 წელს აღმოჩენილი ქვისგან გამოთლილი სვეტის თავი, რომელიც ურთიერთ-ზურგმეჭყეულ, ფეხებმოკეცილ ნახევარხარების გამოსახულებას

⁵ იხ. «Краткие сообщения», № 151, გვ. 90, ნახ. 3, 2.

⁶ ი. ვ ა გ ო შ ი ძ ე, ელინისტური ხანის მასალები სამადლოდან, გვ. 79 და შემდ. ი. ვაგოშიძის აზრით, სამადლოს კრამიტი საშუალებდო ფორმა მცხეთურსა და ქართული კრამიტის ბერძნულ პროტოტიპებს შორის. იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 80; თ. მ ო რ ჩ ა ძ ე, ანტიკური ხანის კერამიკა ქართლში, თბ., 1979, გვ. 51.

⁷ დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, უფლისციხე. II, თბ., 1970, გვ. 56 და შემდ.; განსაკუთრებით საყურადღებოა ნასტაკისის გათხრები, სადაც ამგვარი ჭურჭელი ზუსტად არის დათარიღებული ატიკური იმპორტით. იხ. Ал. Б о х о ч а д з е, Настакиси, Саркинэ, Дзалиси — города Иберии античной эпохи (некоторые результаты полевых исследований), «Краткие сообщения», № 151, გვ. 94—95.



წარმოადგენს. მსგავსი სვეტის თავები მხოლოდ აქემენიდური ირანიდან და, კერძოდ, პერსეპოლისისა და სუზის არტაქსერქსე II-ის (ძვ. წ. 404—359 წწ.) სასახლეებიდან არის ცნობილი⁸.

ციხია-გორა III ფენის ზემომოტანილი თარიღები (მისი, აშენებისა და ნგრევისა) არქეომაგნიტური მეთოდით კრამიტისა და ალიზის აგურის შესწავლის შედეგებითაც მტკიცდება. რაკი III ფენის დროინდელი ციხია-გორა ძლიერი ხანძრის შედეგადაა განადგურებული, რომლის დროსაც ალიზის აგურები თავისი შემაკავშირებელი თიხის ხსნარებით გამოიწვა, ხოლო კედლის ქვები დასკდა, კრამიტის ნიმუშები აღებულ იქნა იმ ადგილებიდან, სადაც ხანძარი ნაკლებ გამანადგურებელი იყო და ამდენად ნიმუშებს მეორადი გამოწვა არ განუცდიათ. არქეომაგნიტური მეთოდით ციხია-გორა III კრამიტისა და ალიზის შესწავლის შედეგად ზ. ჭელიძემ ასეთი თარიღები მიიღო: კრამიტის გამოწვისათვის ძვ. წ. V ს., ხოლო კომპლექსის განადგურებისა (გამომწვარი ალიზის მიხედვით) — ძვ. წ. III ს. ორივე შემთხვევაში ცდომილება ნავარაუდევია ± 50 წელი.

სამაილლოში, ხიზანანთგორაზე, ნასტაკისში კრამიტის დიდი რაოდენობით აღმოჩენა იმთავითვე განიხილებოდა როგორც მცირე აზიასთან ანტიკური იბერიის მჭიდრო ურთიერთობის მანიშნებელი⁹. ამ თვალსაზრისით ციხია-გორას მონაპოვარს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს¹⁰.

მიუხედავად იმისა, რომ ციხია-გორა მრავალი ნიშნით აქემენიდური კულტურის წრეში ეჭვება (როგორც აღინიშნა, ციხია-გორაზე აღმოჩენილი სვეტის თავი ზუსტ ანალოგიებს სწორედ აქემენიდური სუზის არქიტექტურაში პოულობს), კრამიტს აქემენი-

⁸ «Краткие сообщения», № 151, გვ. 90, იქვე სურ. 2, 1.

⁹ იხ. მაგალითად, ი. გაგოშიძე. ელინისტური ხანის მასალები სამაილლოდან, გვ. 80.

¹⁰ აღნიშნულ ხანაში იბერიაში კრამიტის გამოჩენა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ცნობილია, რომ სწორედ ძვ. წ. V—IV საუკუნეებია მცირე აზიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში კრამიტის წარმოების აყვავების ხანა (მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ სამყაროში კრამიტი უკვე ძვ. წ. VII ს-იდან იყო ცნობილი). საგულისხმოა, რომ სინოპში ექსპორტისათვის გამოხსული კრამიტის დაღამღვა ძვ. წ. IV ს. 70—60-იანი წლებიდან ივარაუდება. იხ. В. И. Цехмистренко, Синопские керамические клейма с именами гончарных мастеров, СА, 3, 1960, გვ. 57 და შემდ.; И. Б. Брашинский, Экономические связи Синопы в IV—II вв. до н. э., «Античный город», М., 1963.



დური ირანიდან შემოსულად ვერ განვიხილავთ იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ ეს სამშენებლო მასალა აქემენიდური არქიტექტურისათვის უცხო დარჩა. კრამიტის მიმწოდებელი ვერც მეზობელი არმენია იქნებოდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ წინაელისისტურ ხანაში მის ტერიტორიაზე არაერთი ქალაქური, სატაძრო თუ კომპოლისური ხასიათის დასახლება არსებობდა (არმავირი, ვანი, ერებუნი, ანისი-კამახი, ერიზა, არტაშატი და სხვა) არმენიაში კრამიტი პირველად ძვ. წ. II ს-ში იქნა გამოყენებული არტაშატის მშენებლობისას. ტბოლოგიურადაც ეს კრამიტი განსხვავებულია ციხია-გორულისაგან¹¹. ჭერჭერობით გამორიცხული უნდა იყოს შავიზღვისპირეთიდან იბერიაში კრამიტის გავრცელებაც, მიუხედავად იმ დიდი როლისა, რომელიც სინოპს და პონტოს ჰერაკლესაჰქონდათ ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კრამიტით მომარაგების საქმეში.

გასათვალისწინებელია, რომ ციხია-გორაზე, სადაც კრამიტის ფართო ათვისების სურათი საკმაოდ დამაჯერებლადაა წარმოდგენილი, არ არის დადასტურებული სამხრეთ, დასავლეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილო შავიზღვისპირული კრამიტის არც ერთი ცალი. ჭერჭერობით არ ვხვდებით მათ მინაბაძებსაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ იბერიაში და, კერძოდ, ციხია-გორაზე კრამიტი, უკეთ კი, კრამიტის დამზადების წესი მცირე აზიასთან უშუალო კულტურული ურთიერთობის გზით შემოვიდა ძვ. წ. V—IV სს-ში¹². გამორიცხული არ გვეჩვენება ვარაუდი, რომლის თანახმადაც კულტურული კონტაქტები მცირე აზიასა და იბერიას შორის უნდა განხორციელებულიყო იმ სამხრეთის გზით, რომელიც მტკვრის ვიწრობებზე გადიოდა და რომელსაც სტრაბონი იბერიაში ოთხ ძირითად შესასვლელს შორის ასახელებს (Strabo, XI, III, 5).

მცირე აზიასთან უშუალო კონტაქტების საშუალებით უნდა მომდინარეობდეს ციხია-გორას კრამიტზე დადასტურებული ასოწინებებიც. ნიშნები დატანილია სველ კრამიტზე, გამოწვამდე, სწრაფად, გაკრული ხელით, თითოთ, იშვიათად წვეტიანი საგნით (ჩხი-

¹¹ Г. А. Т и р а ц я н, Новые археологические материалы послеурартского времени на территории Западной Армении (Турция) и их место в истории древнеармянской культуры, კრებულში: «Древний Восток», Ереван, 1976, გვ. 134 და შემდ.


¹² შდრ. И. А. Б а б а е в, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

რიოთ?). მართალია, ჯერჯერობით ჩვენს ხელთ არსებული ნიშნების რაოდენობა მცირეა, მაგრამ უკვე ახლაც ძველი ბერძნულიდან მათი მომდინარეობა საეჭვო არ უნდა იყოს (იხ. ქვემოთ).


ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს ამ ასო-ნიშანთა შორის „ფი“-სა და „ომეგა“-ს არსებობა, რომლებიც „ხი“-სთან ერთად სწორედ ძველი ბერძნულისა და ამ უკანასკნელისაგან მომდინარე მცირეაზიური ანბანების (ფრიგიულის, ლიდურიისა და სხვ.) კუთვნილებას წარმოადგენენ ფინიკიურ-სემიტურისაგან განსხვავებით.

დღემდე შესწავლილ კრამიტზე 12 ბერძნული ანბანური ნიშანია გამოვლენილი. ესენია: Δ, λ, ν, ξ, ο, π, ς, ρ, σ, υ, φ, Ω. სადღეისოდ სულ 141 ნიშანია აღნუსხული, აქედან 109 — კალიბტერზე და 32 სოლენზე (სურ. 1—2).

პალეოგრაფიული ანალიზის გზით აღნიშნული ნიშნების დათარიღება დიდ სიძნელებთანაა დაკავშირებული. საქმეს ართულებს ადგილობრივი სინქრონული ბერძნული წერილობითი ძეგლების სრული უქონლობა¹³. კარგ შედეგს მოგვეცემდა ალბათ სინ-



სურ. 1



სურ. 2

¹³ ცნობილია, რომ ამა თუ იმ ეპიგრაფიკული ძეგლის პალეოგრაფიული ანალიზის დროს დამწერლობის ლოკალური ვარიანტების გათვალისწინებას არსებითი

ქრონული ძველი ბერძნული კურსივის ნიმუშებთან ჩვენთვის
ნიშნების შედარებითი შესწავლა¹⁴, მაგრამ კვლევის ეს გზა გამო-
რიცხულია, რადგან ციხია-გორას ჩვენთვის საინტერესო კრამიტი
ძვ. წ. IV ს-ით თარიღდება, ხოლო ბერძნული კურსივის ყველაზე
ადრეული ნიმუშები ძვ. წ. IV ს. დასასრულსა და ძვ. წ. III ს.
დასაწყისს განეკუთვნება¹⁵. დიდი დახმარების გაწევა შეეძლო სინ-
ქრონულ ადგილობრივ ბერძნულ გრაფიტოსთან ჩვენი ასო-ნიშნე-
ბის შედარებასაც, მაგრამ ამგვარი მასალაც ჯერჯერობით არ ჩანს¹⁶.

ასო-ნიშანთა პალეოგრაფიული ანალიზის გზით ამ უკანას-
კნელთა დათარიღებას ისიც აბრკოლებს, რომ ჩვენს ხელთ მხო-
ლოდ ცალკეული ნიშნებია და არა სიტყვები ან გაბმული ტექსტე-
ბი.

ციხია-გორას კრამიტზე დამოწმებული ასო-ნიშნები, როგორც
წესი, ვარიანტებითაა წარმოდგენილი. მათი გათვალისწინება საშუა-
ლებას გვაძლევს გამოვყოთ ამ ასო-ნიშნებისათვის დამახასიათებ-
ელი რამდენიმე თავისებურება: 1. არ არის სტანდარტიზებული ასო-
ნიშანთა არც ფორმა და არც ზომა; 2. იგრძნობა ტენდენცია ასო-
ნიშანთა ფორმის მომრგვალებისაკენ, რაც ალბათ წერის ტექნიკი-
თაა შეპირობებული (იხ. ზემოთ); 3. „ომიკრონი“, რომელიც 26-
ჯერ გვხვდება, ყოველთვის არ არის შეკრული (სურ. 1—2). ამ მო-
ყვანილობის „ომიკრონს“ ვხვდებით როგორც ძვ. წ. V—IV სს. ბერ-
ძნულ გრაფიტოებში, ასევე ძვ. წ. VIII—VI სს. დათარიღებულ ძეგ-
ლებზე; 4. „სიგმა“ (იგი 12-ჯერაა დადასტურებული), რომელიც გან-
საკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა, პარალელებს პოუ-
ლობს, ერთი მხრივ, უძველეს ბერძნულ წარწერებში, ძვ. წ. VIII—VI
სს-ით რომ თარიღდებიან და, მეორე მხრივ, ძვ. წ. V—IV სს. ეპიგრა-
ფიკის ნიმუშებში; 5. „პი“ ნიშანდობლივი მოკლე მარჯვენა ფეხით
დამახასიათებელია დროის საკმაოდ დიდი პერიოდის (ძვ. წ. VIII—II

მნიშვნელობა ენიჭება. იხ. А. Н. Болтунова, Т. И. Книпович, Очерк истории греческого лапидарного письма на Боспоре, НЭ, М., 1962, გვ. 4 და შემდ.

¹⁴ Э. Р. Штерн, Граффити, Записки Одесского общества истории и древности, 1908, 24, გვ. 5 და შემდ.; И. И. Толстой, Греческие граффити древних городов Северного Причерноморья, М.-Л., 1953.

¹⁵ Fr. G. Kenyon, The Paleography of Greek papyri, Oxford, 1899.

¹⁶ ცნობილია, რომ ცალკეული ასო-ნიშნის აბსოლუტურ და შეფარდებით ზომებს ხშირად დამატარიღებელი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. ამავე მიზანს ემსახურება მართლწერისა და გრამატიკული (სინტაქსური თუ ფონეტიკური) ფორმების ანალიზის შედეგებიც და სხვ.



